# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 4 ივნისი 2007 №125 (3048) ფასი 50 თეთრი

# სირცხვილის ნაკრები






ნიშანი, რომელიც საქართველოს არ დაუნახავს, მაგრამ მაინც გაჩერდა

## და ესეც შედეგი: ლიტ-ვაი!



SLOT POKER CLUB VEGA
საქართველოს ნაკრების თამაშების მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

კაუნასი. 2 ივნისი. 22 საათი. დარიუსი და გირენასი. 8 000 (ტევადობა 9 000)

## ლიტვა 1:0 საქართველო

1:0 მიკოლიუნასი (78)

ლიტვა: კარჩემარსკასი, შემბერასი, ჟვირგჟდაუსკასი, შკერლა, სტანკევიჩუსი, კლიმავიჩიუსი, პაულაუსკასი, სავენასი (კალონასი 55), მორინასი (მიკოლიუნასი 62), ბენიუშისი (ლაბუკასი 75), დანილევიჩუსი
სათადარიგონი: გრიბაუსკასი; ალუნდერისი, ივაშკევიჩუსი, რაძინიავიჩუსი
მწვრთნელი: ალგიმანტას ლიუბინსკასი

საქართველო: ლომაია, ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე, ელიავა, მენთეშაშვილი (მარცვალაძე 64), ცქიტიშვილი (მუჯირი 80), კობიაშვილი, კვირკველია, ა. იაშვილი, დემეტრაძე
სათადარიგონი: ჭანტურია; სალუქვაძე, შაშიაშვილი, კანკავა, ბურდული
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: დემეტრაძე (45), კობიაშვილი (63), ცქიტიშვილი (73), მიკოლიუნასი (79), კარჩემარსკასი (90)

მსაჯები: კლაუდიო კირჩეტა; მანუელ ნავარო, ანტონიო ფერნანდესი; საშა კევერი (ყველა შვეიცარია)

უეფას დელეგატი: სტივენ ლოდჟი (ინგლისი)



ალექსანდრე იაშვილი და კახა კალაძე ქართველთაგან საუკეთესონი კი იყვნენ, თუმცა მხოლოდ ეს ორი საქმეს არ ეყო



# ათასობით კაცის ათასობით კითხვა
# რატომ?



კობა ინასარიძე
კაუნასიდან

**ფანტასტიკაა,** ეს წარმოუდგენელია! — გუშინწინდელი მატჩის შემდეგ, მთელი თუ არა, ნახევარი სტადიონი გაოცებული და ისეთი გაკვირვებული იყო, თითქოს მართლაც რაიმე სასწაული მომხდარიყო. არადა, რა მოხდა? ლიტვამ შინ საქართველოს მოუგო. ჩვენებმა, როგორც ამ ბოლო დროს ხდება ხოლმე, თითქოს კარგად ითამაშეს, თითქოს უნდა მოეგოთ კიდეც, მაგრამ წააგეს. წააგეს ელემენტარული დაუდევრობის, გაუგებრობისა და შეცდომების გამო — მწვრთნელებმა თავიანთი ჭამეს, ფეხბურთელებმაც არანაკლები.

დაუდევრობაა ის, რომ ჩვენს გუნდს ლიტვასთან მატჩი დაწყებამდე მოგებული ეგონა, გუნდს არ ეტყობოდა ის მუხტი, რაც გამარჯვებისთვის და დიდი ბრძოლის მოსაგებადაა საჭირო, არ ჩანდა ანთებული თვალები...

გაუგებრობაა ის, როცა კლაუს ტოპმიოლერს ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩებისთვის მოსამზადებლად გუნდი ფრანკფურტში მიჰყავს, კაუნასში შეხვედრის წინა დღეს კი ამბობს, ფრანკფურტში წყნარ და მშვიდ გარემოში ვემზადებოდით, შემწუხებელი არავინ გვყავდა და კონკრეტული მეტოქის წინააღმდეგ კონკრეტული პროგრამით ვვარჯიშობდით, ზუსტად შევისწავლეთ მეტოქის ტაქტიკა და დიდი ყურადღება დავუთმეთ სტანდარტული მდგომარეობების დამუშავებასო. ამ დროს კი ჩვენს გუნდს სრულყოფილი მომზადებისა არაფერი ეტყობოდა.

„დარიუსის და გირენასის" სტადიონის ტრიბუნაზე ვიჯექი და საქართველოს ნაკრებს ვერც საგანგებო ტაქტიკური მრავალფეროვნება შევატყვე და არც ისე ორიგინალურად შესრულებული ჯარიმები თუ კუთხურები, აქამდე ან ჩვენ არ გვენახოს, ან ლიტველებს.

შეცდომებს კი რა მოთვლის. შეცდომა იყო თუნდაც ის, რომ კლაუს ტოპმიოლერს უკვე მატჩამდე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ოთარ მარცვალაძე ანგარიშისა და თამაშის მიმდინარეობის მიუხედავად, მეორე ტაიმის შუაში შეცვლაზე უნდა შეეყვანა. ალბათ, ზურაბ მენთეშაშვილის შეცვლაც წინასწარვე ჩაფიქრებული იყო. არადა, მენთეშაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ, ხოლო მარცვალაძემ ნაკრებში უცუდესი მატჩი ჩაატარა. შეცდომა იყო ისიც, რომ ტანმაღალი და ჯანმაგარი მასპინძელი მცველების წინააღმდეგ მწვრთნელმა ორი ტანმორჩილი თავდამსხმელი დააყენა და მხოლოდ მათი სისხარტისა და მოქნილობის იმედად დარჩა. ხოლო ხშირად ჩვენი გუნდი წინ მხოლოდ გიორგი დემეტრაძის ამარა იყო. ვფიქრობთ, ალექსანდრე იაშვილი თავის საქმეს კარგადაც აკეთებდა, ყველგან კი ის ვერ იქნებოდა, მით უმეტეს, ახმახ მეტოქეებთან ბრძოლისას.

ნაკრებს არც თავდასხმაში, არც ნახევარდაცვაში ლიტველთათვის თავით ბურთის მომგები ფეხბურთელი არ ჰყავდა და, როცა საქმე ძალიან გაჭირდა, ტოპმიოლერმა კახა კალაძე ცენტრალურ თავდამსხმელად, სწორედ ჩაწოდებული ბურთების მისაღებად გადაისროლა. მახსოვს, თავის დროზე ამას ცხონებული ნოდარ ახალკაცი აკეთებდა, ალექსანდრე ჩივაძეს ცენტრალური მცველის პოზიციიდან ცენტრფორვარდად გადაიყვანდა ხოლმე...

შეცდომაა ალბათ ისიც, რომ საქართველოს ჩემპიონატში თავით ჩინებულად მოთამაშე სანდრო იაშვილი და რატი წინამღვრიშვილი გყავდეს და თავდამსხმელთა ასეთი დეფიციტის დროს მათ ნაკრებში არ იწვევდე... თუ დააკვირდით, ჩვენებმა ლიტველთა საჯარიმოში ვერც ერთი ჩაწოდებული ვერ მოიგეს, საკუთარ კართან კი სამჯერ წააგეს საჰაერო ბრძოლა და გიორგი ლომაიას რომ არ ეყოჩაღა, მასპინძლებს ბოლონიელი ტომას დანილევიჩიუსი უფრო ადრეც დააწინაურებდა. ეს ამბავი სადღაც პირველი ტაიმის ბოლოსკენ მოხდა, ხოლო იქამდე წუთით ადრე ლომაიამ გუნდი მარიუს სტანკევიჩუსის დარტყმის შემდეგაც გადაარჩინა.

მარცხენა ფლანგზე ჩვენებს ხვრელი ჰქონდათ, რითაც სარგებლობდნენ კიდეც ლიტველები და თითქმის ყველა სახიფათო შეტევაც სწორედ იმ მხრიდან ვითარდებოდა. ამ ორი ეპიზოდის გარდა, მაშინაც ავნერვიულდით, როცა იგორის მორინასის დაბალ ჩაწოდებულს მანტას სავენასმა ოთხი-ხუთი მეტრიდან „ბაჩოკით" დაარტყა, მაგრამ ბურთს კახა კალაძე გადაეღობა და გუნდი გოლს აარიდა. ამ გახსენებაზე ისიც ვთქვათ, რომ თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში კალაძემ ნაკრები მეორე ტაიმშიც იხსნა და, საერთოდ, ლიტვასთან მატჩმა ერთხელაც დაგვარწმუნა, რომ ის დიდი ფეხბურთელია...

როცა შაულიუს მიკოლიუნასმა გოლი გაიტანა, მის წინ კახა კალაძე კი იდგა, მაგრამ იმ შემთხვევაში მას არ გაუმართლა, ბედად ფეხი დაუცდა, წაიქცა, ლიტველმაც ამით დროულად ისარგებლა და ლომაიას შორეულ ცხრიანში გაუტანა. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ის ზონა, სადაც მიკოლიუნასმა ბურთი მიიღო და დასარტყმელად გაისწორა, კალაძისა საერთოდ არ იყო და იქაურობა ზურაბ ხიზანიშვილსა და ოთარ ხიზანეიშვილს უნდა ეკონტროლებინათ.

აქ შეგნებულად არაფერს ვამბობთ ჩვენი ფეხბურთელების მიერ შექმნილ ძალიან ბევრ რეალურ მომენტზე და ბევრი არც მსაჯობაზე ვილაპარაკოთ. აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ არბიტრს ორ ეპიზოდში ნამდვილად მართებდა ჩვენების სასარგებლოდ პენალტის დანიშვნა, მაგრამ დემეტრაძისა და მარცვალაძის პროტესი მან ყურიდან ყურში გაატარა.

და როცა დაუდევრობაზე, გაუგებრობასა და შეცდომებზე ვთქვით და წაგების სხვა მიზეზებსაც ვეძებთ, ფატალური უიღბლობაც არ უნდა დავივიწყოთ. ხომ შეიძლება, ერთხელ ჩვენებსაც გაუმართლოს — გაიხსენეთ უკრაინა, გაიხსენეთ იტალია და შოტლანდია, გუშინწინდელი მატჩიც ალბათ ნახეთ... იქ ძელი, იქ კარის ხაზიდან გამოტანილი ბურთი, იქ არდანიშნული პენალტები, ჩინებული პოზიციებიდან უზუსტო დარტყმები... რა უბედურებაა. ცხვარი ხომ არ დაგვეკლა?! თუ იმ აზრს შევეგუოთ, რომ ამბობენ, იღბალი ყოველთვის ძლიერის მხარესააო?

მომკალით და, არ მჯერა, რომ ლიტვა საქართველოზე კარგი გუნდია.

რა აკლიათ ჩვენებს, რა არის პირველ ყოვლისა გამოსასწორებელი, რა არის ერთი სწორი და სტაბილური მიმართულების მოძებნისთვის საჭირო — ამ და კიდევ ბევრ სხვა კითხვაზე ტოპმიოლერმა უნდა გვიპასუხოს. ჯერჯერობით კი, არც საამისო დროა და არც ხალისი. ამიტომაც სადღეისოდ მხოლოდ ნამატჩევ პრესკონფერენციაზე მის ნათქვამს დავჯერდეთ.

წინ კი საფრანგეთია და ნუღარ ვიკითხავთ, რისი იმედი უნდა გვქონდეს. არ ვიცი, არ ვიცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრესკონფერენცია

# ...როცა ტაქტიკა პრაგმატიკაა





**კლაუს ტოპმიოლერი**: მეტოქემ ადრინდელ მატჩებთან შედარებით დღეს გაცილებით უკეთ ითამაშა. მართალია, წავაგეთ, თუმცა, ვფიქრობ, ამას არ ვიმსახურებდით. იღბალიც მასპინძლებისკენ იყო. მსაჯმა კი ორი ნაღდი პენალტი არ დანიშნა. ასეთ მატჩებში კი ასეთი შეცდომები ხშირად გადამწყვეტიც არის ხოლმე. საქართველოს ნაკრებს უკვე მერამდენე მატჩია, საგოლე მომენტების გამოყენების პრობლემა აქვს. დღეს კი შეტევაში სისწრაფეც არ გვეყო. ახლა შესარჩევ ჯგუფში დარჩენილ სხვა მატჩებზე უნდა ვიფიქროთ და, რაც შეიძლება, მაღალი ადგილისთვის ვიბრძოლოთ. ჩვენ შინ ვეთამაშებით უკრაინას, შოტლანდიას და ლიტვას და მათი დამარცხებით პოზიციას გავიუმჯობესებთ.

**ალგიმანტას ლიუბინსკასი**: ემოციებისგან ისე ვარ დაცლილი, მატჩზე ბევრს ვერ ვილაპარაკებ, მთავარი გავაკეთეთ, მოვიგეთ და ბედნიერი ვარ. დაცვაში ბევრი შეცდომა გვქონდა, მაგრამ ქართველებმა ეს ვერ გამოიყენეს. ჩვენც რამდენიმე საგოლე შანსი მოგვეცა, თუმცა ერთი გამოვიყენეთ, მიკოლიუნასმა ჩინებულად დაარტყა, რაც მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა. საქართველოს ნაკრებს ბურთით თამაშით ვერ ვაჯობებდით, ამიტომაც პრაგმატული ფეხბურთი ვარჩიეთ, რამაც საჩვენო შედეგი მოიტანა. მიხარია, რომ შრომა დაგვიფასდა. ჯგუფის ფავორიტები, ცხადია, ისევ იტალია და საფრანგეთი არიან, დანარჩენებს კი, რაც შეიძლება, უკეთესი ადგილისთვის ბრძოლა მოგვიწევს. დღეს ჩემმა ბიჭებმა მეტოქეს ორთაბრძოლებში არაფერი დაუთმეს, ეს კი კიდევ ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მატჩის მოსაგებად.

# კობიაშვილი, დემეტრაძე, და ცქიტიშვილი — არა! იაშვილი — ალბათ, არა!

**გუშინ** საქართველოს ნაკრები კაუნასიდან ფრანკფურტში გაფრინდა, წასვლამდე კი კლაუს ტოპმიოლერმა გუნდი ერთი საათი მსუბუქად ავარჯიშა — წვრთნა ძირითადად აღდგენითი ხასიათისა იყო.

ფრანკფურტიდან ნაკრები დღეს 12 საათზე გაფრინდება პარიზში და ოსერში, სადაც ფრანგებთან მატჩი ჩატარდება, ავტობუსით ჩავა. საღამოს ჩვენები ოსერის „აბე დეშანზე" ივარჯიშებენ.

გადაწყვეტილი ამბავია — საფრანგეთთან მატჩს ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და გიორგი დემეტრაძე გამოტოვებენ. მათ ყვითლები დაუგროვდათ და დისკვალიფიცირებულნი არიან.

შესაძლოა, ვერ ითამაშოს ალექსანდრე იაშვილმაც — იგი ფეხს იტკივებს.

ოსერში დღეს მივემგზავრები მეც და დანარჩენი ამბები ხვალისთვის იყოს...

**ძოგა ინასარიძე** კაუნასიდან




## ნამატჩევს


ლევან კობიაშვილმა (№10) და დავით კვირკველიამ ლიტველებს ვერაფერი დააკლეს

მატჩის შემდეგ ჩვენს ფეხბურთელებს, წაგებისგან ისე იყვნენ გაოგნებულები, დანა პირს არ უხსნიდათ. უმრავლესობამ ლაპარაკი საერთოდ არ ისურვა, რამდენიმემ კი, ა.ი, ეს გვითხრა:

**ლევან კობიაშვილი**: რა ვთქვა, არც კი ვიცი. თითქოს ნორმალურად ვთამაშობთ, თამაშიც მიგვყავს, ვქმნით უამრავ საგოლე მომენტს, მაგრამ დაცვაში ერთი უყურადღებობა წაგებად გვიჯდება. ვერ ვიტყვი, რომ მეტოქემ დამსახურებულად მოიგო, მაგრამ ფაქტია — წავაგეთ. რისი ბრალია და რა ხდება, არ ვიცი...

**გიორგი დემეტრაძე**: ცოცხალი თავით არ გადის ბურთები მეტოქის კარში. მგონი, რაღაც ჯადო გვაქვს გაკეთებული. ბევრი მომენტიდან ერთსაც რომ ვერ გაიტან, მეტოქე აუცილებლად დაგსჯის. სამწუხაროდ, ლიტველებმაც ასე გაგვიტანეს. არ მინდა, თავის გასამართლებლად გამომივიდეს, მაგრამ მსაჯმა ორი ნაღდი პენალტი არ დანიშნა. პირველ შემთხვევაში მეტოქემ უკნიდან ისე გამეტებით ჩამარტყა, კოჭი ახლაც მტკივა. არბიტრი იმ მომენტში შორს იდგა და დარღვევა, მგონი, ამიტომაც ვერ შენიშნა, მეორედ კი...

**ალექსანდრე იაშვილი**: ნაღდად არ უნდა წაგვეგო, არ ვიმსახურებდით ასეთ შედეგს. რატომ არ გადის ამდენი მომენტიდან თუნდაც ერთი ბურთი მეტოქის კარში, არ ვიცი. დათარსულები ვართ...

*გასაუბრება ლიტველებთანაც მოვახერხე და პირველად გოლის ავტორი* **შაულიუს მიკოლიუნასი** *მოვიხელთე*:

— ჩვენ ვიბრძოლეთ, თავი დავდეთ და მგონი, ლოგიკურია, რომ მოვიგეთ. საქართველო ძლიერი მეტოქე იყო, მაგრამ ჩვენ თითქმის უშეცდომოდ ვითამაშეთ, განსაკუთრებით, ნახევარდაცვაში და მეტოქესაც შანსი არ მივეცით.

— ისე, გოლის ეპიზოდში მაგრად გაგიმართლათ...

— რას გულისხმობთ?

— კალაძეს ფეხი რომ დაუცდა და დარტყმის მომენტში ვერ დაგიფარათ...

— რას ვიზამთ, ესეც ხომ ფეხბურთის შემადგენელი ნაწილია. კარგ პოზიციაში დავრჩი, მეურვე არ მყავდა, ვეცადე, ზუსტად დამერტყა კარში და ახლა ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გუნდმა სწორედ ჩემი გოლით მოიგო.

ლიტველთა კიდევ ერთმა თავდამსხმელმა **ტომას დანილევიჩუსმა** კი, ჩემდა გასაკვირად, თქვა: სიმართლეს გეტყვით, მოგებას ნაღდად არ ვიმსახურებდით, საქართველო კი, პირიქით, წაგებას. ვფიქრობ, ლოგიკური შედეგი უფრო ფრე იყო, მაგრამ არც ის იქნებოდა მოულოდნელობა, რომ ქართველებს მოეგოთ...

...მერწმუნეთ, თქვენ ძალიან კარგი გუნდი გყავთ. ისეთი მომენტები შექმენით, რომელთა გამოუყენებლობაც ბევრ შემთხვევაში მწარედ ისჯება და საქართველოსაც ეს დაემართა. ვფიქრობ, საქართველო უკრაინაზე და შოტლანდიაზე კარგი გუნდია. აქ, კაუნასში ორივეზე უკეთ მხოლოდ თქვენ ითამაშეთ. ჩვენ, უბრალოდ, გაგვიმართლა და მოვიგეთ.

**ძოგა ინასარიძე** კაუნასიდან


ლევან ცქიტიშვილი მანტას სავენასის წინააღმდეგ

# ჰოფენჰაიმის ორმაგი სახე: თარგამაძე ან შაშიაშვილი


გიორგი შაშიაშვილი

**მეორე** ბუნდესლიგაში აღზევებული „ჰოფენჰაიმი" დიდ ინტერესს იჩენს ქართველი ფეხბურთელებისადმი. ბოლო ვერსიით, გერმანული კლუბი საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" მარჯვენა მცველ გიორგი შაშიაშვილის შეძენითაა დაინტერესებული.

შეგახსენებთ, რომ „ჰოფენჰაიმმა" თავდაპირველად თვალი ფრაიბურგელ ალექსანდრე იაშვილს დაადგა, მაგრამ ჩვენებურს მეორე ბუნდესლიგა აღარ ხიბლავს და თვალი ელიტისკენ უჭირავს, ამიტომ ეს ვარიანტი გამოირიცხა.

საუბარია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრ დავით თარგამაძეზეც. ეს იმ შემთხვევაშია მოსალოდნელი, თუ „ჰოფენჰაიმს" ახლანდელი მწვრთნელი რალფ რანგნიკი დატოვებს და „ფრაიბურგის" მწვრთნელი ფოლკერ ფინკე ჩაიბარებს.

თუმცა, ამ შემთხვევაში უკვე შაშიაშვილის ტრანსფერია საეჭვო — გიორგი „ჰოფენჰაიმის" მაისურას იმ შემთხვევაში მოირგებს, თუ მწვრთნელად რანგნიკი დარჩება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# geo_geo_fan@hotmail.com

# ნეტავ, რა ესიზმრება კლაუს ტოპმიოლერს?

ჩვენთვის სასიამოვნოთი დავიწყოთ: ლიტვასთან მატჩის წინ geo_geo_fan-ის ანონსი არ გაგვიკეთებია და მკითხველისთვის ნამატჩევს კომენტარების გამოგზავნა არ გვითხოვია. თქვენი წერილები კი მაინც მივიღეთ, ანუ გულშემატკივარს ამ რუბრიკის არსებობა არ დავიწყებია.

ყველაფერი დანარჩენი კი, რაც გუშინწინ მოხდა და რაზეც ჩვენი რუბრიკის ავტორები გვწერენ, უსიამოვნოა. ოღონდ ერთსაც შევნიშნავთ: ძველი დროის წერილებისგან განსხვავებით, დღევანდელებში ქომაგები მაქსიმალურად დიპლომატიურები არიან (დიმიტრი ობოლაძესავით, გუშინწინდელი მატჩის კომენტირებისას), არადა, ადრე გაცილებით მკვახე წერილებიც გვახსოვს...

**MAMULI**: ჩემი აზრით, როდესაც ნაკრებში ტრავმიანობაა, გოგიტა გოგუა და მიხეილ აშვეთია უდისციპლინობისთვის დასჯილები არიან და შოთა არველაძე აღარ თამაშობს, ლიტვის დონის მეტოქესთან დინამოელები, დავით დიღმელაშვილი და სანდრო იაშვილი სათადარიგოთა სკამზე ჯდომას მაინც იმსახურებენ. ლიტვასთან ჩვენებს სწორედ საჯარიმოში მოტრიალე თავდამსხმელი აკლდათ. ასეთი კი დღეს სანდრო იაშვილია, ვინც მაღალი ბურთებისთვისაც იბრძოლებდა.

გაუგებარია, რატომ ჯიუტობს კლაუს ტოპმიოლერი და რატომ არ აძლევს შანსს საქართველოს ჩემპიონატის აშკარად საუკეთესო ფეხბურთელს — სანდრო იაშვილს?

**GEORGE-GEO**: აბა, რა გითხრათ, რით გაგახაროთ... კიდევ ერთი უსახური თამაში და მორიგი მარცხი. ძნელია ცხელ გულზე ემოციების გარეშე ლაპარაკი და სიტუაციის ობიექტურად შეფასება. დაიწყება ახლა ისევ „ეს რომ გვყოლოდა" და „ის რომ ტრავმირებული არ ყოფილიყო". იყო თუ არა, ასეთი ფეხბურთელების მეტნაკლებად სრულფასოვნად შეცვლის მცდელობა? ჩემი გადასახედიდან ასე არ ჩანს. იმ შვიდი ფეხბურთელიდან, რომლებიც ტოპმიოლერმა შეუცვლელებად დაასახელა, მხოლოდ ასათიანი და არველაძე გვაკლდნენ. მუჯირი სათადარიგო იყო, გოლის გაშვების შემდეგ კი ცენტრფორვარდის ფუნქციებს კალაძე და ხიზანეიშვილი ასრულებდნენ. გაიცინებდი, სატირალი რომ არ იყოს. რა შედარებაა, მაგრამ სანდრო იაშვილის არგამოძახებამ 1982 წელი გამახსენა — ფეხმოტეხილი ბურიაკი ესპანეთში რომ წაიყვანეს და ყიფიანი სახლში დატოვეს. განსაკუთრებით „მოვიხიბლე" სტანდარტული მდგომარეობების ეფექტურად გამოყენების მცდელობებით. ტოპმიოლერის სიტყვებით, ამ ელემენტს დიდი ყურადღება დაეთმო მატჩისწინა შეკრებაზე. ყველაზე ძალიან კუთხურის გათამაშებისას თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენა მომეწონა.

დიმა ობოლაძე კი ძალიან დიპლომატიური იყო, სიტყვებს ძლივს პოულობდა. ასეთი თამაშით საფრანგეთთან მართლაც რომ შევრცხვებით.

მოკლედ, თამაშის მიმდინარეობისას სულ ის ბანერი მახსენდებოდა, „მილანის" ფანებმა რომ გამოჰფინეს და მასიმო ამბროზინისაც რომ ეჭირა ცოტა ხნით. ოღონდაც, სიტყვა „სკუდეტო" უნდა შეიცვალოს სიტყვით „პროგრესი"- და „ინტერი" რა შუაშია? მგონი, გადავამლაშე, ძალიან განერვიულებული ვარ და ალალად ვფიქრობ, რომ ეს აბზაცი უნდა დააცენზუროთ...

**KOKI**: მივესალმები „სარბიელს" და მის მკითხველს. როგორც საქართველოს ნაკრების რიგით ქომაგს, მინდა, ორი სიტყვით გადმოგცეთ ჩემი გულისტკივილი. მართალია, ვცდილობ, ჩვენი ნაკრების წარუმატებლობაზე აღარ ვინერვიულო, მაგრამ...

წაგებაც არის და წაგებაც, უკრაინასთანაც წავაგეთ, მაგრამ ალბათ სწორედ ამას ჰქვია ღირსეული წაგება. მთავარი ის იყო, რომ ბიჭებმა ითამაშეს და მიუხედავად მარცხისა, ალბათ ბევრს ჩემსავით ტკივილნარევი სიამოვნების გრძნობა გქონდათ. ის კი, რაც ლიტვასთან ვნახეთ, ერთი სიტყვით გადმოიცემა — მარაზმი.

ტოპმიოლერის ხელში ასე კომპრულად მოთამაშე საქართველო პირველად ვნახე. უშეცდომო არავინაა და ტოპმიოლერიც უშვებს შეცდომებს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს ეროვნულ ჩემპიონატს, არ გამოიძახა სანდრო იაშვილი ან სხვა რომელიმე ცენტრფორვარდი და ასე შემდეგ. თუმც სანამ წაგებას მას დავაბრალებდეთ, კიდევ ერთხელ კარგად ვნახოთ, ლიტვასთან (და არა მარტო ლიტვასთან) მატჩის ჩანაწერი ან გავიხსენოთ, როგორ დალასლასებდნენ ჩვენები მინდორზე, ყოველგვარი ჯიგრისა და შემართების გარეშე. წაგება კი არა, ეს არის ყველაზე დასანანი. მერე კიდევ ვეტყვით ჩვენს ახალგაზრდებს, ასე თავგადაკლულად სხვა ქვეყნებს ან სხვა ქვეყნის გუნდებს რატომ ქომაგობთო.

არ მინდა ვინმეს ეწყინოს, მაგრამ დღემდე არ მესმის, რატომ ვიძახებთ ნაკრებში, ვთქვათ, ლევან კობიაშვილს, რომლის კარგი თამაშიც საქართველოს მაისურით მე არ მახსოვს. თითოეულ მატჩში მოკლე ეპიზოდები ჩასათვლელი არ არის და ისინიც ერთი-ორი თუ იყო. მარტო იმით ვერ მოვიგებთ, რომ ხიზანა „ბლექბერნში" ირიცხება და კობი „შალკეში". ხოლო ცქიტიშვილს რომ შეცვლიან, უკმაყოფილებას გამოთქვამს, თითქოს ისე მაგრად ითამაშა, ეს არ უნდა ეკადრებინათ... თუ ვინმე არ თამაშობს და შემართების ნასახი არ ეტყობა, საერთოდ, არც უნდა გამოვიძახოთ. ჩემი აზრით, ასეა.

კიდევ ბევრი რამის თქმა მინდოდა, მაგრამ ძალიან გამიგრძელდა სიტყვა და სხვა დროს იყოს.

პრობლემა ისევ ჩვენს მენტალიტეტშია, რატომღაც ვიღაცებზე მაგრები გვგონია თავი. ფაქტი კი ერთია — ახალი სახეები გვჭირდება, პირველ რიგში, თავდასხმაში. სამწუხაროა, რომ ლევან მჭედლიძე დაშავდა, მისი დიდი იმედი მაქვს.

**ZURA10**: ლიტვა — საქართველოს თამაშის ნახვის მერე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ტოპმიოლერი არასაკმარისად მუშაობს საქართველოს ნაკრებთან, როგორც მთლიან გუნდთან, ასევე კონკრეტულ ფეხბურთელებთან და მათი გუნდის მწვრთნელებთანაც. არადა, თუ გინდა რომ წარმატებას მიაღწიო, სიზმარშიც კი, ბენიტესივით, შენს გუნდს უნდა ხედავდე. ხოლო როცა ტოპმიოლერი გვეტყვის, რომ სიზმარში საქართველოს ნაკრები ნახა, მაშინ დავიჯერებ მის ენთუზიაზმს.

სხვა რა გითხრათ, აღარ ვიცი...

**NUKRI**: ახლა მაინც თუ მიხვდება ტოპმიოლერი, რომ ამ ნაკრებს მთლიანად გადახალისება სჭირდება?! ევროპაში ასეთი უკუსვლა არც ერთ ნაკრებს არ აქვს. თუ თავმოყვარეობა აქვთ და ქართული ფეხბურთისთვის სიკეთე უნდათ, ამ ფეხბურთელების უმრავლესობამ ნაკრებში თამაშზე უარი უნდა თქვას. ამ ხალხს ალბათ გათავისებული არ აქვს, რას ნიშნავს ქართველი ხალხისთვის ფეხბურთი და ალბათ ამიტომაც დაბლლარძუნობენ მოედანზე. რას ალანძლევინებთ და აგინებინებთ თავს ამ ისედაც გაჭირვებაში მყოფ ხალხს? წადით და იქნებ მოვიდნენ ახალგაზრდები, ვისაც მართლა ეყვარება საქართველო და, რა თქმა უნდა, თავისი საქმე!

აი, ასეთია ჩვენი დღევანდელი ფოსტა. ჩვენ მართლაც არ ვიცით, რას ხედავს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი სიზმარში, ის კი დიდი სიზუსტით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს არ უნდა ხედავდეს.

რაც შეეხება, „მილანის" ცნობილ ტრანსპარანტს „ინტერისა" და სკუდეტოს თაობაზე, იმ აბზაცს ცენზურაგაუვლელად ვბეჭდავთ.

ყველაფერი დანარჩენი კი — ჯიგარზე, მონდომებაზე, სტანდარტულებზე, ის რომ გვყოლოდას ძახილზე, რასაც გვწერთ, ძალიან ძველია. იმდენად ძველი, რომ, მგონი, მარადიულობაზეც აცხადებს პრეტენზიას...

geo_geo_fan@hotmail.com



# გია გეგუჩაძე პრო მწვრთნელი კიევში გახდა

**პირველლიგელი** „გაგრას" სპორტულმა დირექტორმა და თბილისის „დინამოს" ყოფილმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ კიევში პრო-ლიცენზია აიღო.

გეხსომებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელებისთვის სალიცენზიო კურსებს ატარებდა და მას გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობდა, გეგუჩაძეს კი ეს კურსები არ გაუვლია — გარკვეული პრობლემები შეექმნა და „დინამოს" უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გამყვანმა მწვრთნელმა მაშინ გვითხრა კიდეც, რადგან აქ არ მეძლევა საშუალება, უცხოეთში ავიღებ ლიცენზიასო.

გეგუჩაძე 2005 წლის დასაწყისში გაათავისუფლეს თბილისის „დინამოდან" და მას შემდეგ, არც ერთი გუნდის მთავარი მწვრთნელი არ ყოფილა.

ჩემი გეგმები „გაგრას" უკავშირდება და ჯერ არსად წასვლას არ ვაპირებო, გვითხრა გუშინ გეგუჩაძემ.

ილია ნანობაშვილი

# სიონი გიორგი არევაძის გარეშე



**გუშინ** ბოლნისის რაიონის გამგებელი გიორგი არევაძე თანამდებობიდან გადადგა.

ჩვენგან პოლიტიკა შორს, მაგრამ არევაძე ბოლნისის „სიონის" პრეზიდენტიც გახლდათ და კლუბს ბოლოდროინდელი წარმატებული პერიოდიც სწორედ მისი პატრონობისას ჰქონდა.

შესაბამისად, არევაძე აღარც „სიონის" პრეზიდენტი იქნება...

ოთარ მხეიძე

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები 5 ივნისს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ შეხვედრაში ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებს.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება მხოლოდ 5 ივნისს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის ხუთ სალაროში, 11 საათიდან თამაშის დაწყებამდე — 20 საათამდე.

ბილეთის ფასი 3 ლარი.

ეროვნული სტადიონის კარები გაიღება 18 საათიდან.

*სფფ-ის პრესცენტრი*

სარბიელელები ვულოცავთ
გიორგი დევდარიანს ვაჟის
დემეტრეს
დაბადებას!
სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყოს!

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
# ჩვენი მეტოქეები

## ბლოხინს უკრაინა დაეკარგა
### დომენეკი საქართველოს გადასწვდა

**საფრანგეთი 2:0 უკრაინა**
1:0 რიბერი (57), 2:0 ანელკა (71)
**საფრანგეთი:** კუპე, კლერკი, ტურამი, გალასი, აბიდალი, ნასრი (ლ. დიარა 81), ტულალანი, მაკელელე, რიბერი, მალუდა, ანელკა (ჟ. სისე 77)
**მწვრთნელი:** რაიმონ დომენეკი
**უკრაინა:** შოვკოვსკი, რუსოლი, ჩიგრინსკი, იეზერსკი (ლევჩენკო 78), ნესმაჩნი, გაი, გუსევი, კალინიჩენკო (როტანი 64), მიხალიკი, ტიმოშჩუკი, ვორონინი (ვორობეი 72)
**მწვრთნელი:** ოლეგ ბლოხინი
**გაფრთხილება:** გალასი, ნესმაჩნი
**მსაჯი:** მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
**80 000 მაყურებელი**

**უკრაინის** ნაკრებს ძირითადი შემტევები, ანდრეი შევჩენკო და სერგეი რებროვი აკლდნენ და მათი საფრანგეთიდან უგოლოდ წამოსვლა გასაკვირი არც არის, თუმც „მამლებს“ მაინც ბოლომდე ეომნენ და ერთი-ორჯერ საკმაოდ ანერვიულეს. საფრანგეთის განახევრებული ნაკრებისგან კი ასეთი დამაჯერებელი თამაში მართლაც გასაკვირია. ფრანგები დაუღალავად მიიწევდნენ ალექსანდრ შოვკოვსკის კარისკენ და აისრულეს კიდეც საწადელი.

ორივე გუნდმა ერთნაირი ტაქტიკა ირჩია — ეულ თავდამსხმელს ზურგს ხუთი ნახევარმცველი უმაგრებდა. ცენტრის ჯახში კი ფრანგებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქე.

მაკელელე-მალუდა-რიბერის კლასზე ლაპარაკი ზედმეტია, ხოლო ახალგაზრდა სამირ ნასრიმ მართლაც შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა — პირველ ტაიმში ფრანგთა არც ერთ შეტევას მის გარეშე არ ჩაუვლია.

მეორე ტაიმში უკრაინელებმა მთელი ყურადღება ნასრიზე გადაიტანეს და ამან სხვა ნახევარმცველებს გაუხსნა ხელ-ფეხი.

კლოდ მაკელელეს გრძელი პასით ფრანკ რიბერი შოვკოვსკის შეეყარა, მშვიდად მოატყუა და ანგარიშიც გახსნა.

მალე ფლორენ მალუდას პასით ნიკოლა ანელკამაც გაიტანა, თანაც როგორი — ანდრეი რუსოლს საჯარიმოში თავბრუ დაახვია და შოვკოვსკის ისეთი დაუქუხა, თავის დროზე „ბასტილიაში“ პატიმრის გაქცევისას რომ არ გაუსროლიათ.

„შედეგით კმაყოფილნი ვართ, ისევე, როგორც მაყურებელთა მხარდაჭერით, „სტად დე ფრანსზე“ დიდებული სიტუაცია იყო. პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. სამაგიეროდ, მეორეში გამოვასწორეთ. გუნდი კარგად მოძრაობდა და სასურველ შედეგსაც მიაღწია...

...ახლა მთელი ყურადღება საქართველოსთან მატჩისთვის უნდა გადავიტანოთ. ვფიქრობ, იოლად საქმე არც მათთან გვექნება“ — განაცხადა ნამატჩევს ფრანგთა მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა.

„პირდაპირ ვიტყვი, რომ საფრანგეთის ნაკრები დღეს ჩვენზე ძლიერი იყო. სათანადო დონეზე მხოლოდ ერთი ტაიმი ვითამაშეთ. 0:1-ის შემდეგ ჩემი გუნდი სადღაც დაიკარგა — უკრაინის ნაკრები ასეთი უსუსური არასოდეს მინახავს. ძალიან ბევრი პრეტენზია მაქვს ნახევარმცველების მიმართ. ამიტომ რამდენიმე მათგანს მივანიშნე კიდეც, რომ არ არის გამორიცხული, ამიერიდან მათ დახმარებაზე უარი ვთქვა და მომავალზე დავიწყო მუშაობა“ — განუცხადა ჟურნალისტებს ოლეგ ბლოხინმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


რობერტო დონადონის უკან გასახედად სულაც არ ეცალა


ფილიპო ინძაგი ნაკრებს დუბლით დაუბრუნდა

AFP

## ყვირილის ფონი: ბუფონი!

**ფარერები 1:2 იტალია**
0:1, 0:2 ინძაგი (12, 48), 1:2 რ. იაკობსენი (77)
**ფარერები:** მიკელსენი, დანიელსენი, დიურჰუუსი, ი. იაკობსენი, იოჰანესენი, ე ბორგი (სამუელსენი 73), ოლსენი, თომასენი, ფლოტუმი (ჰოლსტი 56), კ. იაკობსენი, რ. იაკობსენი
**მწვრთნელი:** მარტინ ოლსენი
**იტალია:** ბუფონი, ოდო, კანავარო, მატერაცი (ბარძალი 66), ტონეტო, დიანა, გატუზო, პირლო, დელ პიერო, ინძაგი (ლუკარელი 58), როკი (კალიარელა 86)
**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი
**გაფრთხილება:** გატუზო
**მსაჯი:** რობერტ მალეკი (პოლონეთი)
**5 987 მაყურებელი**

**მატჩის** ბოლო წამებზე ჯანლუიჯი ბუფონმა როგვი იაკობსენს მკვდარი ბურთი გამოუძრო, თორემ, შესაძლოა, ბოლო პერიოდის ყველაზე მყვირალა სენსაციის მომსწრენი გავმხდარიყავით.

არადა, საქმე აქამდე არც უნდა მისულიყო. რობერტო დონადონის მიერ ნაკრებში დაბრუნებულმა ფილიპო ინძაგიმ წყვილად ესროლა იაკუპ მიკელსენს და „აძური“ 2:0 დაწინაურდა. პიპომ პირველად ანდრეა პირლოს გრძელი გადაცემა შეირგო, მეორედ კი აიმო დიანას პასი თავით გადაგზავნა კუნძულელთა კარში.

ინძაგის გოლების გარდა, იტალიელებს ბარე ოთხი უნდა გაეტანათ: ჯერ პირლომ საფირმო დარტყმით შეაზანზარა ძელი, შემდეგ კი დიანამ, კრისტიანო ლუკარელიმ და ალესანდრო დელ პიერომ ათასპროცენტიანი მომენტები ვერ გამოიყენეს.

მასპინძლებმა პირველი შეტევა 75-ე წუთზე განახორციელეს და პირველი და ერთადერთი კუთხურის ჩაწოდების უფლებაც მოიპოვეს. კუთხურს ორ წუთში გოლი მოჰყვა: მსოფლიოს ჩემპიონების დაცვას ჩაეთვლიმა და იმავ იაკობსენმა გაიტანა...

ფარერელი ალბათ ამ გოლს სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაივიწყებს, ხოლო ნაკრების ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონების კარში გატანილი ბურთი ოქროს ასოებით ჩაიწერება — გულშემატკივრებმაც ტრიბუნაზე ნამდვილი ზეიმი მოაწყვეს.

და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ბოლო წამებზე იაკობსენს მეორედ რომ ევარგა — ჯიჯის ოსტატობამ ფარერელებს ოცნება დაუსამარა...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 15:2 | 15 |
| იტალია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:6 | 13 |
| უკრაინა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| შოტლანდია | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| ლიტვა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:5 | 7 |
| საქართველო | 7 | 2 | 0 | 5 | 13:13 | 6 |
| ფარერები | 7 | 0 | 0 | 7 | 2:25 | 0 |

6 ივნისი
**ფარერები — შოტლანდია**
**საფრანგეთი — საქართველო**
**ლიტვა — იტალია**


ანდრეი ნესმაჩნი ფრანკ რიბერის ვერ გაუმკლავდა

AFP

## შესანიშნავი შვიდეული
### გრეგორი კუპემ ნაკრები დატოვა

**ევროშესარჩევ** მატჩში საფრანგეთის ნაკრებს საქართველოსთან ექვსი ძირითადი ფეხბურთელი რომ არ ეყოლებოდა, ცნობილი იყო, თუმც ეს სია გაიზარდა: ტიერი ანრის, სილვენ ვილტორდს, ლუი საას, მიკაელ სილვესტრს, ვილი სანიოლსა და პატრიკ ვიეირას კიდევ ერთი ტრავმირებული შეემატათ — მეკარე გრეგორი კუპე.

„სამფეროვანთა“ ძირითადმა მეკარემ გუშინ დატოვა ნაკრები. ტრავმის სიმძიმე ჯერჯერობით უცნობია, თუმც ფაქტია, რომ 6 ივნისს ჩვენებურთა წინააღმდეგ კარს, სავარაუდოდ, მიკაელ ლანდრო დაიცავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ტოტისაც და ნესტასაც სამუდამო ემუქრებათ

**ფრანჩესკო ტოტი** მუნდიალის შემდეგ ნაკრებში თამაშზე უარს რომ აცხადებს, ალბათ, იცით.

ტოტი მუნდიალამდე ცოტა ხნით ადრე მიღებული სერიოზული ტრავმის შემდეგ, ფეხში ჩასმული მეტალის ფირფიტით თამაშობს. ნაკრებიდან წასვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზადაც სწორედ ეს დაასახელა — სექტემბერში დავბრუნდები, როცა ფირფიტას ამოვიღებო.

წესით, ეს ოპერაცია „პუპონეს“ ახლა უნდა გაეკეთებინა, თუმცა ოპერაციის შემდეგ ორთვიანი სარეაბილიტაციო პერიოდი დასჭირდებოდა და მთლიანად ჩაეშლებოდა არდადეგები, რაც მან არ ისურვა და თამაშის ფირფიტით გაგრძელებას აპირებს. ხოლო, თუ რობერტო დონადონის გამოძახებაზე კიდევ ერთხელ იტყვის უარს, შესაძლოა, სამუდამოდ მოკვეთონ „სკუადრა აძურადან“.



უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი თვლის, რომ ფეხბურთელი, რომელიც უარს იტყვის ნაკრებში თამაშზე, დისკვალიფიკაციით უნდა დაისაჯოს. ამ აზრს იზიარებს იტალიის საფეხბურთო ლიგის თავმჯდომარე ანტონიო მატარეზეც...

„პლატინის ვეთანხმები. მან კარგად იცის, რას ნიშნავს ეროვნული ნაკრების ღირსების დაცვა. ხოლო, თუ ვინმეს ეს არ სურს, არც იმსახურებს ამას“ — განუცხადა მატარეზემ „გაძეტა დელო სპორტს“.

შეიძლება, დისკვალიფიკაცია დაემუქროს ალესანდრო ნესტასაც, ვინც „სკუადრა აძურაში“ თამაშზე ახლახან თქვა უარი, უკვე 31 წლის ვარ და ორივე ფრონტზე ბრძოლას ველარ ვაზერხებ, შესაძლოა, ნაკრებში აღარ ვითამაშოო.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე: „პლატინის აზრი გასაგები და ლოგიკურია. ტოტის და დონადონის შეთანხმება აქვთ, ფრანჩესკო სექტემბერში უნდა დაბრუნდეს და იმედია, ასეც იქნება. თუ იგი კვლავ უარს იტყვის გამოძახებაზე, უკვე სხვა იქნება. რაც შეეხება ნესტას, აქ უფრო რთულადაა საქმე. ყველას ძალიან გვინდა, ალესანდრომ გადაიფიქროს და დაბრუნდეს. იტალიის ნაკრებს ორივე ფეხბურთელი სჭირდება. სექტემბერში მნიშვნელოვანი მატჩები გველის საფრანგეთ-უკრაინასთან და იქამდე დიდი ხნით ადრე უნდა ვიცოდეთ, ვინ ითამაშებს და ვინ — არა“.

**ძოძი ძანძღლაძი**

# პეტარ სეგრტი: ვიცით, რა უნდა საქართველოს!





მურთაზ ფოლადაშვილის ფოტოები

**პეტარ სეგრტმა** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების 24-კაციანი შემადგენლობა თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მინდორზე თითქმის ორი საათი ავარჯიშა.

თავიდან ხორვატმა შეგირდები აჭუნძულა, შემდეგ გაახურა, სამად დაყო 15 წუთი ერთშეხებიანი კვადრატი გააჩალებინა.

მოგვიანებით სეგრტმა ბიჭებს 30-მეტრიან მოედანზე ორკარა ათამაშა. ბუნებრივია, პატარა მოედანზე ბევრი გოლი გავიდა და უნდა გენახათ, ყოველი გატანილის შემდეგ როგორი გახარებული იყო სეგრტი — პირზე სულ „ბრავო! ბრავო!" ეკერა.

სეგრტმა სტანდარტულებსაც დიდი დრო დაუთმო, ბოლოს კი 10 წუთი მთელ მოედანზე ათამაშა ორკარა და, როგორც დაიწყო, იმავ ჭუნძულით დაამთავრა ვარჯიში.

ვარჯიშის შემდეგ ფეხბურთელებთან ვცადეთ გასაუბრება, მაგრამ მწვრთნელისგან კატეგორიულად აკრძალული გვაქვს პრესასთან ურთიერთობაო, გვიპასუხეს.

თავად *პეტარ სეგრტმა* კი კომენტარი არ დაგვამადლა: დღეს ბიჭებმა ბევრი გოლი გაიტანეს და ამიტომაც დაიმსახურეს ამდენი ქება. გუნდი მთლიანად კონცენტრირებულია და კარგი ატმოსფეროც სუფევს, რაც მატჩამდე უნდა შევინარჩუნოთ. მეტოქე გუნდიდან რომელიმე ფეხბურთელს არ გამოვარჩევ, მთლიანად ესპანეთის ნაკრებია ძალიან კარგი გუნდი. ჩვენი მოწინააღმდეგე დიდი საფეხბურთო ქვეყანაა და მძიმე ბრძოლის გადატანა მოგვიწევს... ამ მატჩის მოგება სრულიად საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია და ვეცდებით, ქვეყანა გავახაროთ.

**ნუკრი ლოლაძე**

# თბილისს ტალანტებისა და ნიჭიერების ნაკრები ესტუმრა

**„აი,** ვარჯიში თუ გინდა, ესაა" — ყველა ამას ამბობდა, ვინც ესპანეთის 21-წლამდელების წვრთნას უყურებდა „მიხეილ მესხზე".

ერთხელ პირინეელებმა დიდი კვადრატი მიწაზე ბურთის დაუშვებლად ისე გაითამაშეს, ძალიან ლამაზი სანახავი იყო.

ხვალ პეტარ სეგრტის ქართველ შეგირდებს მართლაც ძნელი თამაში მოელით — სავარაუდოდ, ამ ასაკში მსოფლიოს ყველაზე ძლიერ და ნიჭიერებით სავსე ნაკრებთან. ესპანეთს ტალანტები არასოდეს აკლდა და ინაკი საესის დღევანდელ ნაკრებშიც, იცოცხლეთ, მრავლად იქნებიან ისეთები, ხვალზეგ ეროვნულ გუნდს რომ დააჭაშნიკებენ.

თბილისში გუშინ ჩამოსულ ესპანეთის U21-ს ერთსაათიანი ვარჯიში ჰქონდა: ნახევარ მოედანზე ორკარა, ცალკე ჯგუფებად კვადრატები და კარში დარტყმები... აშკარა იყო, საესმა დიდად არ დატვირთა ნამგზავრი ფეხბურთელები, მაგრამ რაც დატვირთა, ესეც შთამბეჭდავი იყო.

პატარა ბოიან კრკიჩი ყველას ყურადღებას იპყრობდა — ეს ბიჭი 1990 წელსაა დაბადებული, „ბარსელონა B-ში" თამაშობს და ამას წინათ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა. ამ ფორვარდზე ამბობენ, ახალი ლეო მესიაო — კრკიჩი დაბალი, მაგრამ ჯირკივით ბიჭია...

საესის სამწყსოდან ასევე გამორჩეულები არიან „რეალის" მცველი მიგელ ტორესი, „ოსასუნას" ნახევარმცველი რაულ გარსია და „ვალენსიას" შუახაზელი არგელ პალიარდო, ესენი სხვებზე გამოცდილები არიან, თორემ კოჭებში ყველა ესპანელს ეტყობოდა, რომ მაგრები ჩანან.

ინაკი საესს კი ესპანელ ახალგაზრდებთან მუშაობაში ჭიპი აქვს მოჭრილი — 1996 წლიდან ამ ასაკის გუნდს წვრთნის და 2002-2004 წლებში ეროვნული ნაკრებიც ებარა.

ესპანელები დღეს 20 საათზე ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ, მანამდე კი 15-20 წუთით ადრე *ინაკი საესი* ჟურნალისტებსაც გაგვესაუბრება. თუმცა მკაცრი გამომეტყველების დონ ინაკი გუშინაც გულღიად გველაპარაკა...

— ხუთსაათიანი ფრენის შემდეგ ბიჭები არ გავთანგე. ასე ვთქვათ, გასართობი ხასიათის ორმხრივი თამაში გვქონდა. ხვალ უფრო ინტენსიური ვარჯიში გვექნება.

**— საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

— ბევრი არაფერი. დარწმუნებული ვარ, ქართველებსაც ცოტა დრო ჰქონდათ საამატჩოდ მოსამზადებლად, რადგან ეროვნული ჩემპიონატი მიმდინარეობდა. ვიცი ის, რომ ჩვენი გუნდის მსგავსად, თქვენც არაერთი ძალიან ახალგაზრდა და ნიჭიერი ფეხბურთელი გყავთ.

**— თქვენს ხელში ბევრ ვარსკვლავს გაუვლია. ამ ნაკრებში თუ არიან ისეთი ფეხბურთელები, ვთქვათ, ფერნანდო ტორესის ან დავიდ ვილიას დონეს რომ მიაღწიონ?**

— ჩემს ხელში ესპანეთის ნაკრების ყველა დღევანდელ ფეხბურთელს გაუვლია, მაგრამ შედარებას ვერ გავაკეთებ. ბუნებრივია, ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს და ვნახოთ...

**— რამდენად დიდი შანსია, რომ ბოიან კრკიჩი ძირითადში დააყენოთ?**

— კრკიჩი მატჩის გარკვეულ ნაწილს აუცილებლად ითამაშებს.

**ილია ნანობაშვილი**
**ლადო ხომერიკი**





ესპანური ფეხბურთის იმედი ბოიან კრკიჩი

# ვინღა რჩება ოლიმპში?

**გიორგი** სეთურიძე, გიორგი ონიანი, თორნიკე აფციაური, მიხეილ მახვილაძე, რევაზ გეწაძე, დავით ჭიჭველიშვილი — ექვსივე ეს ფეხბურთელი რუსთავის „ოლიმპის" საჩემპიონო შემადგენლობის სული და გული იყო, თუმცა, სავარაუდოდ, ამათგან ნახევარზე მეტი მომავალ სეზონს სხვა კლუბში დაიწყებს.

ამ ექვსეულს კონტრაქტი დაუმთავრდა და წასვლას აპირებს. გეწაძეს რიგის „სკონტოში" დაბრუნება თითქმის გადაწყვეტილი ამბავია. სეთურიძესა და ონიანს უკვე ჰყავთ მსურველი კლუბები, რომელთა სახელი ჯერ უცნობია, დანარჩენები კი გასინჯვაზე მიდიან და, თუ უცხოეთში ვერ მოიკიდეს ფეხი, ისევ „ოლიმპს" დაუბრუნდებიან.

სავარაუდოდ, „ოლიმპი" უცხოელ ფეხბურთელებს შეიმატებს, თუმც ამხელა დანაკლისის მერე ქართულ ბაზარზეც აქტიურობა მართებს.

**ილია ნანობაშვილი**

# ზესტაფონის სამი-ზნე: მარცვალაძე, არზიანი და ფრიდოლინი

**დიდი** შანსია, „ზესტაფონს" უახლოეს მომავალში სამი ფეხბურთელი შეემატოს.

როგორც შევიტყვეთ, იმერლები კიევის „დინამოს" ფორვარდ ოთარ მარცვალაძეს, მახაჩყალის „ანჟის" ნახევარმცველ ზურაბ არზიანს და ბოლნისის „სიონის" მცველ ბოიომო ფრიდოლინის ეპატიჟებიან.

ვნახოთ, ვნახოთ...

თუ იმერლებმა ეს ტრანსფერები მოაკვარახჭინეს, შეიძლება ითქვას, სერიოზულად გაძლიერდებიან.

**ნუკრი ლოლაძე**

# ძმებმა ბერაიებმა ყარაბახი გაიგრძელეს

**ტყუპი** ძმები, ირაკლი და გოგა ბერაიები კიდევ ერთი წლით დარჩებიან აზერბაიჯანულ „ყარაბახში". ორივენი წლინახევრის წინ გადავიდნენ „გიანჯადან" „ყარაბახში" და გუნდის ლიდერებიც გახდნენ.

ირაკლი ბერაიამ მძიმე ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ მაინც გადაწყვიტა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება.

„ალბათ, სხვა გუნდში ასეთ მძიმე სიტუაციაში მყოფს ასე არავინ დამეხმარებოდა, „ყარაბახმა" მარტო არ დამტოვა, რისთვისაც ამ კლუბის მადლიერი ვარ" — თქვა ირაკლიმ.

**ოთარ მხეიძე**

PLAYOFFS 2007

# სულ სხვა ბიჭი

## ჯეიმსმა და გიბსონმა კლივლენდს პირველი ფინალი აჩუქეს



დეტროიტელები მისდევდნენ მწვრთნელ ფლიპ სანდერსის შეგონებას და ამდენ თამაშში ბოლოს და ბოლოს თავადაც აღმოჩენილ ჭეშმარიტებას — მთავარი იყო, ლებრონ ჯეიმსი არ გაეხარებინათ, დანარჩენებისგან კი ისინი არცთუ დიდ საფრთხეს მოელოდნენ. მაგრამ შეცდნენ და ეს შეცდომა ფინალის საგზურის დაკარგვად დაუჯდათ.

პლეი ოფის დაწყებამდე კლივლენდშიც კი ბევრი არ იცნობდა ახალბედა დანიელ გიბსონს. შარშანდელი დრაფტის მეორე წრეში აყვანილი ეს 188-სანტიმეტრიანი უკანახაზელი თავად „კავალიერზის" მწვრთნელმა მაიკ ბრაუნმაც მხოლოდ მარტში თუ შეამჩნია და პლეი ოფში იწყო მისი გამოყენება. გიბსონი ერთი-ორ სამქულიანს ყველა თამაშში აშველებდა თავისიანებს, „დეტროიტთან" მეოთხე შეხვედრაში კი თავი გამოიდო და 21 ქულა ჩააგდო. მაგრამ ლებრონ ჯეიმსის დევნით დაკავებულ და მისგან გაწამებულ დეტროიტელებს სულ გამორჩათ ეს ყმაწვილი. 21 წლის გიბსონმა კი აიღო და ბოლო მეოთხედის დასაწყისში „პისტონზს" ერთბაშად სამი სამქულიანი უმარჯვა, სულ ამ მეოთხედში 19 ქულა გააკეთა და ეს უდაძაბულესი მატჩი 16-ქულიანი სხვაობით მოაგებინა „კავალერიას".

უნდა გენახათ, რა ხდებოდა დარბაზში — „კლივლენდი" ხომ 37-წლიან ისტორიაში პირველად გავიდა ფინალში, სადაც სამგზის ჩემპიონ „სან ანტონიოსთან" მოუწევს შერკინება. ლებრონი ჯანიანი ჯეელი კია, მაგრამ სიხარულით გადარეული გოლიათი ჟიდრუნას ილგაუსკასის ტორებში ლამის გამოეშშვიდობა ფინალში თამაშის ოცნებას.

გრიალებდა მთელი დარბაზი, აქეთ კი თავში ხელწაშენილი დეტროიტელები ცდილობდნენ გონზე მოსვლას — სერიაში 2:0 დაწინაურების შემდეგ ზედიზედ 4 თამაშის წაგებასაც ხომ „მოხერხება" უნდა? 2004 წლის ჩემპიონები და 2005-ის ვიცე-ჩემპიონები ზედიზედ მეორედ გავარდნენ აღმოსავლეთის ფინალიდან, მიუხედავად იმისა, რომ ახლაც მოედნის უპირატესობა ჰქონდათ.

ამ გუნდს იქნებ აღარც მიეცეს ჩემპიონობაზე გაბრძოლების შანსი. იქნებ ხელმძღვანელობამ მათი შესაძლებლობები ამოუწურულადაც ჩათვალოს და ახალი გუნდის შენება დაიწყოს? ძველები კი დაიშლებიან. აგერ, ჩონსი ბილაფსი და კრის ვებერი ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტები ხდებიან, ხოლო მწვრთნელ ფლიპ სანდერსის ნდობის ფაქტორი შესამჩნევად დაეცა.

**კოტე ყორშია**

1 ივნისი

## აღმოსავლეთის ფინალი

### PISTONS დეტროიტი 2:4 კლივლენდი

**კლივლენდი 98:82 დეტროიტი**

კლივლენდი: ჰიუზი (9), პავლოვიჩი (8), ჯეიმსი (20 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი), გუდენი (7), ილგაუსკასი (11 ქულა, 12 მოხსნა); გიბსონი (31), ვარეჯაო (7), მარშალი (3), ჯონსი (2), სნოუ

დეტროიტი: ბილაფსი (9), ჰამილტონი (29), პრინსი (5), ვოლესი (11), ვებერი (13); მაკდაისი (7), ჰანტერი (4), მიურეი (4), დელფინო, დევისი, მაკსეილი, მუჰამედი

ლებრონ ჯეიმსი თამაშის დღეს დილის გამახურებელ ვარჯიშამდე სამი საათით ადრე მივიდა დარბაზში და დიდხანს ამუშავებდა სამქულიან და საჯარიმო ტყორცნებს. აქედანაც ჩანს, რომ ეს უკვე დიდვარსკვლავად ჩამოყალიბებული ჯეელი, მრავალი თანატოლის მსგავსად წარმატებამ, ფულმა და ყურადღებამ არ წარყვნა. ბევრს მის ადგილზე ის 48-ქულიანი ზღაპრული თამაში და ამის მომყოლი ხოტბა გააზულუქებდა, ლებრონმა კი თამაშის დღეს სხვებზე მეტი ოფლი მოიღვინა და ასეული საჯარიმო სტყორცნა, რაც თამაშშიც გამოადგა.

შინ ორმაგ ოვერტაიმში პირადად ჯეიმსისგან ძლეული დეტროიტელები იქვე მეზობელ კლივლენდში ყინჩად ჩავიდნენ. „დგუშების" კაპიტანი ჩონსი ბილაფსი ამბობდა, თავებს დავიხოცავთ და მაგ ბიჭს მაგდენს აღარ ჩავაგდებინებთო. ლებრონს ახლაც ისე რომ ეთამაშა, „დეტროიტი" ფინალს უნდა დამშვიდობებოდა. თქვეს და აასრულეს. ლებრონს ხელ-ფეხი ვერა, მაგრამ სივრცე კი შეუკრეს და მანაც თამაშიდან 11 ტყორცნიდან მხოლოდ სამი ჩააგდო. მაგრამ „კლივლენდის" ლიდერი უბრძოლველად არ დანებებია „დგუშებს", პირიქით, მათი დაცვა გვარიანად გააწამა და მეურვეებს, ძირითადად, რიპ ჰამილტონს და ტაიშონ პრინსს, ბლომად პერსონალურები ჩამოურიგა, თავად კი ბრძოლაში 19 საჯარიმოს ტყორცნის უფლება მოიპოვა, აქედან 14 ქულა გამოადნო და 20 ქულას მაინც მოუყარა თავი.

თამაში კი — ისევე, როგორც ამ სერიაში ყველა წინა — დაძაბული იყო. პირველ სამ მეთოხედში უპირატესობის სასწორი აქეთიქით ქანაობდა და მეტოქეები ერთმანეთს მაქსიმუმ 7-8 ქულით წინ გასვლის უფლებას თუ აძლევდნენ.

| | | ჯეიმსი | გიბსონი |
|---|---|---|---|
| თამაში 1 | 76:79 | 10 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი | 0 ქულა |
| თამაში 2 | 76:79 | 19 ქულა, 6 მოხსნა, 7 პასი | 9 ქულა |
| თამაში 3 | 88:82 | 32 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი | 9 ქულა |
| თამაში 4 | 91:87 | 25 ქულა, 7 მოხსნა, 11 პასი | 21 ქულა |
| თამაში 5 | 109:107 | 48 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი | 11 ქულა |
| თამაში 6 | 98:82 | 20 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი | 31 ქულა |



ვლადიმერ ბოისა

# სიენამ რომი აიღო

## უმარკოიშვილოდ ოლიმპია ოლიმპს შორდება

**წლევანდელ** სერია A-ში ყველაზე კაშკაშა გუნდმა თავი გადაარჩინა — რეგულარული ჩემპიონატის გვარიანი ჰანდიკაპით მომგებმა „სიენამ" ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩი „რომას" სტუმრად მოუგო და ანგარიში გაათანაბრა.

სერია სამ გამარჯვებამდე კი გრძელდება, მაგრამ ვლადიმერ ბოისას გუნდს ეს თამაშიც რომ წაეგო, 0:2 ჩამორჩებოდა და მერე ზედიზედ სამ გამარჯვებას ალბათ ვეღარც მოიპოვებდა. ახლა კი „სიენამ" პირველ მატჩში დაკარგული მოედნის უპირატესობა დაიბრუნა და ნახევარფინალური სერიაც სასურველ კალაპოტში ჩააყენა.

სიენელთა დამრიგებელმა სიმონე პიანიჯანიმ ტრადიციას არ უღალატა და ჩვენიანი არც ამჯერად ათამაშა დიდხანს. ბოისამ რომაულ ფიცარნაგზე 8 წუთი დაიპყრო და 4 ქულის მითვლა მოასწრო. 2 საჯარიმო და ერთი ოქულიანი ჩააგდო.

სიენელებს ულიდერა რომან სატომ, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი რომაელთა ჯილა დეიან ბოდიროგასთან დუელს და თავისიანებს საქმე გაუადვილა. პირველი მეოთხედი სტუმრებმა 11 ქულით მოიგეს, მაგრამ „რომამ" გაიჭირვა და დიდ შესვენებაზე მეტოქეს 36:38 მიუახლოვდა.

მეორე ტაიმში სიენელებმა სიჩქარეს და ქულების ხვეჭას უმატეს, ხელჩასაჭიდ უპირატესობას მიაღწიეს და გამარჯვებამდეც მშვიდობით მივიდნენ.

მომდევნო მატჩს ხვალ „სიენა" უმასპინძლებს. მეორე ნახევარფინალში „ბიელა" „ბოლონიას" ხვდება და იქ ეს უკანასკნელი 2:1 იგებს.

ფინალშია მანუჩარ მარკოიშვილის „ოლიმპია", მაგრამ ჩვენიანისთვის სეზონი დასრულებულია — მან 2 კვირის წინ ფეხის ტრავმა მიიღო და კიდევ ერთი თვე უნდა, ვარჯიშს რომ შეუდგეს.

მარკოიშვილთან ერთად ტრავმირებულია „ოლიმპიას" კიდევ ერთი ლიდერი ტეემუ რანიკო და ლიუბლიანელებსაც ძალიან უჭირთ უსახელო „ჰელიოსთან" ჭიდილი. „ოლიმპია" სერიაში 1:2 აგებს და თუ ერთხელაც დამარცხდება, სლოვენიის საჩემპიონო ტიტულს დაემშვიდობება.

**ირაკლი პერტაია**

## ერთადერთი დელფინო

**კარლოს დელფინო** ნბა-ს ერთადერთი მოთამაშეა, რომელიც არგენტინის ნაკრებს პანამერიკულ თამაშებზე დაეხმარება. არადა, ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანას ისეთი წარმომადგენლები ჰყავს მსოფლიოს უძლიერეს პროფესიულ ლიგაში, ბევრი მძლავრი ნაკრები ინატრებდა.

ემანუელ ჯინობილი, ფაბრიციო ობერტო, ანდრეს ნოჩიონი, ვალტერ ჰერმანი — ნბა-ს ამ ცნობილმა არგენტინელებმა ეროვნულ ნაკრებში თამაში სხვადასხვა მიზეზით იუარეს და სამხრეთამერიკელთა დამრიგებელი სერხიო ერნანდესიც ამერიკაში ჩავიდა, რათა ამ მოთამაშეებს პირადად დალაპარაკებოდა. საბოლოოდ ამ კვარტეტმა მაინც თავისი გაიტანა და არგენტინელებმაც დეტროიტელ დელფინოს უხმეს, რომელიც განაწყენებული იყო, რომ არ გამოიძახეს, თუმც ეროვნულ ნაკრებში თამაშზე საბოლოოდ მაინც დათანხმდა.

## ლეიკერსი კემბით დაინტერესდა

**„ლოს ანჯელეს თაიმსის"** ცნობით, „ლეიკერსი" „დენვერ ნაგიტსის" ცენტრ მარკუს კემბით დაინტერესდა და კოლორადოულ კლუბთან უკვე მოლაპარაკებაც წამოიწყო. ლოსანჯელესელები დენვერელებს კემბის სანაცვლოდ კვეიმ ბრაუნს სთავაზობენ. თუ კოლორადოელებს ეს ტრანსფერი გამოუვიდათ, სახელფასო ფონდში გვარიან თანხას გამოითავისუფლებენ, რადგან ბრაუნი ის მოთამაშე არაა, რა ხელფასიც აქვს. მომავალ სეზონში მას კონტრაქტით 9,1 მილიონი ეკუთვნის.

## ბარბოსამ, ბრაზილია არაო

**„ფინიქს სანსის"** ბრაზილიელი უკანახაზელი ლეანდრო ბარბოსა თავის ნაკრებს პანამერიკულ თამაშებზე ვერ დაეხმარება. მან პლეი ოფის მატჩში იდაყვი დაიშავა და მას შემდეგ, რაც „ფინიქსმა" „სან ანტონიოსთან" წააგო, ოპერაცია გაიკეთა. ბრაზილიის კალათბურთის კონფედერაციას იმედი ჰქონდა, რომ ბარბოსა მომჯობინდებოდა, მაგრამ, როგორც მისი ძმა არტური ამბობს, ლეანდრო კიდევ 2 თვე ვერ ითამაშებს.

პანამერიკული თამაშები ივლისში ჩატარდება, რის შემდეგაც, ერთ თვეში, ამერკის საკალათბურთო ჩემპიონატი გაზურდება და ბრაზილიური კალათბურთის მამები იმედოვნებენ, რომ ბარბოსა ნაკრებს მაშინ მაინც დაეხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ვიქტორ დიდებულიძე და დანარჩენი ქართველები ანრი ბრონკანს ბუქარესტში ელიან

# ქართველებისთვის ნამიბია რუმინეთიდან იწყება

## გუშინ საქართველოს ნაკრები საფრანგეთიდან აიბარგა და ბუქარესტში ჩაფრინდა, სადაც 5-16 ივნისს რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) მიერ ორგანიზებული ტურნირი გაიმართება

ტურნირს IRB-ის ერთა თასი ჰქვია და წლეულს პირველად ჩატარდება. სადებიუტო ტურნირზე იტალიის და არგენტინის მეორე, სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელთა ნაკრებები, მასპინძელი რუმინეთი, ნამიბია და საქართველო ითამაშებენ. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო საქართველო-ნამიბიას მატჩი იქნება, რაკი წლევანდელ მსოფლიოს თასზე ნამიბია ქართველი „ლელოების" მეტოქეა და ჩვენების მაქსიმუმიც და მინიმუმიც აფრიკელების დამარცხებაა.

IRB-ის ერთა თასისთვის „ლელოებმა" საფრანგეთში, კლუბ „მასის" ბაზაზე გაიარეს ოთხდღიანი შეკრება. აქედანვე ვთქვათ, რომ ბუქარესტში ვერ ითამაშებენ ჩვენების ძირითადი მორაგბეები: გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზირაქიშვილი, მამუკა გიორგაძე, ილია ზედგინიძე, გია ლაბაძე, ბესიკ უდესიანი, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი მაჩხანელი და ირაკლი გიორგაძე.

ფრანგულ შეკრებაზე ჩვენები პირველად ავარჯიშა ფიზმომზადების ფრანგმა მწვრთნელმა ნიკოლას ფულკიემ, რომელიც ქართველების კონსულტანტის ანრი ბრონკანის პროტეჟეა.

გუშინ ბუქარესტში „ლელოების" უგამოცდილეს მორკინალს **ვიქტორ დიდებულიძეს** დავუკავშირდით, რომელიც ილო ზედგინიძის და პალიკო ჯიმშელაძის არყოფნაში ალბათ ჩვენების კაპიტანიც იქნება.

— ფრანგული შეკრებით ძალიან კმაყოფილნი ვართ. რაც მთავარია, ისედაც ნახევარი გუნდი შეიკრიბა და კიდევ კარგი, შეკრებაზე ტრავმა არავის მიუღია — გვითხრა დიდებულიძემ.

— ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკინი თქვენთანაა?

— არა, ფრანგულ შეკრებაზე არ ყოფილა. აქ, ბუქარესტში ველოდებით წუთი წუთზე. სამაგიეროდ, ფიზმომზადების მწვრთნელი ნიკოლას ფულკიე უკვე შეუდგა მუშაობას და სიქა გაგვაცალა.

— დამქანცველი სეზონის შემდეგ როგორ ფორმაში ხართ?

— ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესოში, მაგრამ საგანგაშო არაფერია. ბუქარესტში კარგი პირობები დაგვხვდა და ამ ორ-სამ დღეში სასურველ კონდიციებს მივუახლოვდებით.

— თანაც მსოფლიოს თასზე თქვენს ძირითად მეტოქეს, ნამიბიას უკეთ გაიცნობთ.

— ამ ტურნირზე ჩვენთვის ეს ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩია. ვეცდებით, ნამიბიას მოვუგოთ და მსოფლიოს თასის წინ ფსიქოლოგიური უპირატესობა მოვიპოვოთ.

**ბაჩო სვანიძე**

### IRB-ის ერთა თასი

5 ივნისი
არგენტინა A — იტალია A
საქართველო — ნამიბია
ს. აფრიკა U23 — რუმინეთი

10 ივნისი
არგენტინა A — ნამიბია
ს. აფრიკა U23 — საქართველო
იტალია A — რუმინეთი

16 ივნისი
იტალია A — საქართველო
რუმინეთი — ნამიბია
ს. აფრიკა U23 — არგენტინა A

### საქართველო რუმინეთში

ᲨᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲐ: დავით ხინჩაგაშვილი, მამუკა მაგრაქველიძე, გიორგი ჟღენტი, დავით დადუნაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, რატი ურუშაძე, ილია მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, ზვიად მაისურაძე, ელიზბარ ყუფარაძე, ირაკლი ჭყონია, შალვა სუთიაშვილი

ᲣᲙᲐᲜᲐ ᲮᲐᲖᲘ: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, მერაბ კვირიკაშვილი, დავით კაჭარავა, ბესიკ ხამაშურიძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, გიორგი შკინინი, ოთარ ბარკალაია, ოთარ ელოშვილი, რევაზ გიგაური, დავით გურგენიძე

### 2 ივნისი

**ინგლისი სამხრეთაფრიკულ ტურნეზე**

ს. აფრიკა 55:22 ინგლისი

**ტესტ-მატჩები**

ავსტრალია 31:0 უელსი
ახ. ზელანდია 42:11 საფრანგეთი
ურუგვაი 5:29 იტალია
არგენტინა 16:0 ირლანდია

**ოკეანეთის თასი**

ავსტრალია A 27:15 სამოა
ტონგა 17:20 იაპონია



ახალზელანდიელებს ფრანგი პასკალ პაპე კინალამ შემოაკვდათ

# მსოფლიო სერია
## ედინბურგის ეტაპი. 2-3 ივნისი

# ედინბურგი ლონდონს რუსეთით სჯობს

**ᲨᲕᲘᲓᲙᲐᲪᲐ** რაგბიში მსოფლიოს სერიის ედინბურგის 16-გუნდა ეტაპზე საქარველოს ნაკრებმა მე-12 ადგილი დაიკავა, რაც უკეთესი შედეგია, ვიდრე ერთი კვირის წინ ლონდონის ეტაპზე იყო, სადაც ჩვენებმა ყველა მატჩი წააგეს და ბოლო ადგილზე გავიდნენ.

ედინბურგში საქართველოს ნაკრები ჯგუფში ახალ ზელანდიასთან, ინგლისთან და არგენტინასთან მოხვდა. ჩვენების სამივე მეტოქე მსოფლიოს სარაგბო გრანდია და, ცხადია, „ლელოები" ჯგუფის სამივე მატჩში დამარცხდნენ.

ტურნირის ფორმატით ჯგუფის პირველ-მეორე ადგილოსნებმა თასისთვის განაგრძეს ბრძოლა, ჩარჩენილებმა კი პლეი აუტში გადაინაცვლეს.

ქართველებმა პლეი აუტში კლოდ სორელის რუსეთს მოუგეს, მაგრამ მერე პორტუგალიასთან ერთი ლელოთი წააგეს, როგორც ვთქვით, საბოლოო მე-12 ადგილი დაიკავეს და სარეიტინგო ქულები ვერ მოიპოვეს.

**ჯგუფური ეტაპი**

საქართველო 0:24 ინგლისი
საქართველო 7:43 ახ. ზელანდია
საქართველო 5:31 არგენტინა

**პლეი აუტი**

საქართველო 19:7 რუსეთი
საქართველო 12:19 პორტუგალია



ტრადიციული ფინალი საქართველო — საფრანგეთი ალბათ წლეულსაც განმეორდება

# სამოსკოვო თბილისი

**ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ** სერიის ედინბურგის ეტაპზე ნაშვიდკაცარი საქართველოს ნაკრები თბილისში დაბრუნდება და ამ უქმეებზე „მიხეილ მესხის" სტადიონზე გასამართ ევროპული შვიდკაცას სათბილისო ეტაპისთვის მოემზადება.

თბილისის შვიდკაცა მეხუთედ იმართება, თუმც დავაზუსტოდ, რომ ხუთი ტურნირიდან ერთი ბათუმში ჩატარდა, მაგრამ არ გაამართლა.

ხუთი შინაური ეტაპიდან ოთხი ქართველებმა მოიგეს, შარშანწინ კი საფრანგეთი გახდა ჩემპიონი. წლეულს „მიხეილ მესხზე" ათი ნაკრები იშვიდკაცებს, რომლებიც ორ ხუთგუნდა ჯგუფში გადანაწილდნენ — A ჯგუფში მოხვდნენ: საფრანგეთი, უკრაინა, ბელგია, აზერბაიჯანი, ბულგარეთი.

B ჯგუფში შემადგენლობა კი ასეთია: საქართველო, მოლდოვა, ლატვია, ისრაელი, საბერძნეთი.

ჯგუფების საუკეთესო ორ-ორი გუნდი პლეი ოფში თასისთვის იბრძოლებს. ჯგუფში ჩარჩენილები კი დანარჩენ ადგილებს გაინაწილებენ.

ტრადიციულად, საქართველო და საფრანგეთი თბილისური ეტაპის ფავორიტები არიან. ფინალშიც ალბათ ესენი შეხვდებიან, რაც ჩვენებისთვის საკმარისი იქნება, ორი კვირის თავზე მოსკოვში გასამართ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ მოხვდნენ.

**ბაჩო სვანიძე**

# საქართველოს თასი
## პირველი წრე. 2-3 ივნისი

# ხარებმა დინამო რქებზე წამოაგეს

**ᲒᲐᲡᲣᲚ ᲣᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ** ლოკომოტივის სათადარიგო მოედანზე დაიწყო საქართველოს თასის გათამაშება რაგბიში. პირველ ეტაპზე ათი გუნდი თამაშობს. აქედან ექვსი უმაღლესლიგელია, ხოლო ოთხი პირველ ლიგაში რაგბობს. პირველი მატჩებიდან აღსანიშნავია „დინამოს" მარცხი „ხარებთან". სხვა საინტერესო და სენსაციური არაფერი მომხდარა.

**ზურაბ მიგრიაული**

დინამო 19:20 ხარები
თსუ 30:25 არმაზი
ლოკომოტივი 86:22 ყოჩები-2
ლელო 28:3 აკადემია

## სტენლის თასის ფინალი

# სენატორთა სიტყვა: ანაჰაიმი უნდა დაეცეს

### ანაჰაიმი 2:1 ოტავა

**მესამე მატჩი**

**ოტავა 5:3 ანაჰაიმი**

1:1 3:2 1:0

0:1 მაკდონალდი (6, უმრ. სელიანე), 1:1 ნილი (17, კელი, მესაროში),
1:2 პერი (26, პენერი, გეცლაფი), 2:2 ფიშერი (26, ვოლჩენკოვი),
2:3 გეცლაფი (28, პენერი, პერი), 3:3 ალფრედსონი (37, უმრ. რადენი, კორვო),
4:3 მაკამონდი (39, საპრიკინი, შუბერტი), 5:3 ვოლჩენკოვი (49, ვერმეტი, კელი)



მხოლოდ ბოლომდე ბრძოლით, საკუთარი შესაძლებლობების ასი პროცენტის ყინულზე დატოვებით და კბილების ღრჭიალით შეძლო „ოტავამ" „ანაჰაიმის" გატეხვა და სერიაში ანგარიშის შემცირება. კანადურმა გუნდმა გუშინ ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ აგებდა, კალიფორნიელებს სამჯერვე შემოუტრიალა თამაში და საპასუხო აჯახა, რასაც კიდევ ორი უპასუხო შაიბა დააყოლა.

„სენატორებმა", როგორც იქნა მოახერხეს თანაბარ შემადგენლობებში კარგად თამაში — გუშინ 5 შაიბიდან მხოლოდ ერთი გაიტანეს რიცხობრივი უპირატესობისას. გარდა ამისა, თანაბრად კარგად ითამაშა „ოტავას" ოთხივე შემტევმა სამეულმა, რომელთა ანგარიშზე თითო-თითო გოლია. ალბათ სწორედ ეს არის ახლა „ანაჰაიმის" დამრიგებელ რენდი კარლაილის მთავარი თავის ტკივილი — სახიფათო უკვე მხოლოდ ჯეისონ სპეცას სამეული კი არა, მთლიანად „ოტავაა". ეს კი „იხვების" წაქცევის მთავარი საშუალებაა — მათ „სენატორებივით" „ღრმა" შემადგენლობა არ ჰყავთ, ყველა სამეულის გაკავება რომ მოახერხონ.

მეორე მხრივ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ „ოტავას" მაგრადაც გაუმართლა. კანადელთა ამდენად არაბუნებრივი თავდადების მიუხედავად, „იხვები" ბევრი არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მასპინძლებს და მატჩის პირველ ნახევარში სიტუაციას ისინი აკონტროლებდნენ. მაგრამ სწორედ აქ გაუღიმა ბედმა „ოტავას", რომელმაც რიკოშეტების ხარჯზე იხეირა — ჯერ მაიკ ფიშერმა დაუხვედრა ყვანჯი ანტონ ვოლჩენკოვის გასროლილს და ანგარიში 2:2 გახადა, შემდეგ მასპინძლების კაპიტან დანიელ ალფრედსონს შაიბა ფეხზე მოხვდა, რითაც „სენატორებმა" მესამედ გააყაიმეს. დაბოლოს, დინ მაკკამონდის ძალიან ცბიერი პასის შემდეგ კალიფორნიელთა დაცვის ერთ-ერთი ბურჯი კრის პრონგერი იმდენად დაიბნა, რომ თავისივე კარი დალაშქრა.

პრონგერი კიდევ ცალკე სასაუბრო თემაა, რადგანაც კართან ერთად ამ გოლიათმა წლევანდელ პლეი ოფში ბინძური თამაშითაც დაგვამახსოვრა თავი. სულ რაღაც ორიოდ კვირის წინ ამ კანადელმა უკვე გამოტოვა ერთი შეხვედრა ტომას ჰოლმსტომის წინააღმდეგ ჩატარებული აკრძალული ილეთის გამო. პრონგერმა თავი ახლაც „გამოიჩინა" და მაკკამონდზე შური იდაყვის სახეში ჩარტმით იძია. „ოტავას" ვეტერანი ამის შემდეგ კარგა ხანს ყინულზე იწვა და მართალია, თავის ფეხით გავიდა გასახდელში, მაგრამ ყინულზე აღარ დაბრუნებულა. ასე რომ, პრონგერს სავარაუდოდ კიდევ ერთი დისკვალიფიკაცია ელის, რადგანაც ლიგა ასეთ რამეებს არავის პატიობს.

ისე, „ანაჰაიმმა" გუშინ საკმაოდ იუხეშა. პრონგერის „გმირობის" შემდეგ, როცა უკვე აგებდნენ, ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებულმა „იხვებმა" ჰოკეის თამაშის მაგივრად „სენატორებზე" ნადირობა დაიწყეს. ამ კომპონენტში განსაკუთრებით კალიფორნიელთა ახალგაზრდა ლიდერები — კორი პერი და რაიან გეცლაფი გამოირჩნენ. სამუელ პალსონმა კი ერთ მომენტში მაისურაც შემოახია სპეცას, რომელსაც მერე კარგა ხანს უწევდა რეზერვში მყოფ პარტნიორ პატრიკ ივზის მაისურით თამაში.

მოკლედ, „ოტავამ" ნავსი გატეხა და „ანაჰაიმი" პირველად დასცა. თუმც „სენატორებმა" უბრალოდ კი არ იმარჯვეს, არამედ სერიოზული ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვეს, რის გამოც ეს მატჩი შეიძლება მთლიანად სერიის გარდამტეხ მომენტად იქცეს.

# რაკეტა სამშობლოში დაბრუნდა

ვენსან ლეკავალიე პირველი ფრანკო-კანადელია, ვინც „მორის რიშარ ტროფი" მოიგო. ამ პრიზს, რომელიც 1999 წელს დაარსდა, რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერს გადასცემენ. აქამდე ეს პრიზი ინგლისურენოვან კანადელებს (ალბერტისა და ონტარიოს პროვინციის წარმომადგენლებს), რუსს, ფინელსა და ჩეხს მოეგოთ.



ვენსან ლეკავალიეს მორის რიშარის სახელობის ჯილდო ანრი რიშარმა გადასცა

ლეკავალიე კი „რაკეტა რიშარის" პირველი თანამემამულეა, პირველი მონრეალელია, რომელმაც „კანადიენსის" ლეგენდარული თავდასხმელის სახელობის ჯილდო მოიგო.

„ტამპას" მე-4 ნომერს, რომელმაც გასრულებულ რეგულარულ ჩემპიონატში 52 შაიბა შეაგდო, პრიზი შაბათს ოტავაში თავად რიშარის უმცროსმა ძმამ, სხვათა შორის, თვითონაც „მონრეალის" კიდევ ერთმა ლეგენდა ანრი რიშარმა გადასცა. „ეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა. მონრეალში რიშარი ხომ ნამდვილი ლეგენდაა და მართალია, მის ყინულზე არ მინახავს, მის შესახებ ისტორიები ბავშვობიდან მესმოდა" — განაცხადა ლეკავალიემ.

შაბათს სხვა პრიზებიც დაარიგეს. „პიტსბურგის" ახლგამომცხვარ კაპიტან სიდნი კროსბის „არტ როს ტროფი" გადაეცა, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს.

„მინესოტას" მეკარეების დუეტმა, მენი ფერნანდესმა და ნიკლას ბექსტრომმა, „უილიამ ჯენინგს ტროფი" გაინაწილეს — ეს პრიზი რეგულარულში ყველაზე ნაკლები გოლის გამშვებ კარის დარაჯებს გადაეცემათ.

**ბაჩა ლომჯარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში

მერვე ეტაპი. საბერძნეთი. 314,4 კმ

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



AFP

# მარკუს აკროპოლისელი

**აკროპოლისის** რალის სახელით ცნობილი საბერძნეთის ეტაპი ერთ-ერთი უძველესია — წლეულს უკვე 54-ედ ჩატარდა.

ფავორიტებად მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი სებასტიენ ლოები და ელადის შარშანდელი ტრიუმფატორი და მიმდინარე გათამაშების ლიდერი მარკუს გრონჰოლმი ითვლებოდნენ, მაგრამ სები თავიდანვე გამოეთიშა საპირველადგილო დუელს — ერთ-ერთ ნელ მოსახვევში შეცდა, „სიტროენი" ასფალტივით მკვრივ ღორღიან მიწაზე მოუსრიალდა და ბლომად წამები დაკარგა. შედეგად, მეწინავეობა 39 წლის მარკუსმა იგდო ხელთ, ჩემპიონი კი მეშვიდე პოზიციაზე ჩაქვეითდა, თუმც თანდათან გამოასწორა ვითარება და ფინიშთან მაინც მეორე მივიდა.

ისე, ერთხელ გრონჰოლმსაც შეეშალა და მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა, თუმც მალე დაიბრუნა ლიდერობა და სამდღიანი ბრძოლის ბოლომდე აღარც დაუთმია, 21-დან ექვს ჩქაროსნულ მონაკვეთზე იპირველა და საბოლოოდ, თითქმის 40 წამით ჩამოიტოვა ჩემპიონი. უხნესმა მერალემ თანამემამულე თანამძღოლ ტიმო რაუტიაინენთან ერთად წლეულს მესამე დიდი პრიზი მოიგო. ეს „ფორდის" სუომელი პილოტის თითქმის ოცწლიან კარიერაში 28-ე გამარჯვებაა და მხოლოდ ოთხით ჩამორჩება რეკორდსმენ ლოებს.

კარგა ხანს მეორე ადგილზე მიდიოდა ნორვეგიელი ექსჩემპიონი პეტერ სოლბერგი, მაგრამ მეორე დღეს მის „სუბარუს" ამორტიზატორი გაუტყდა და ისე გაუჭირდა, რომ მესამე ადგილითაც სავსებით კმაყოფილი დარჩა.

საბერძნეთის რალით ჩემპიონატის პირველი ნახევარი დასრულდა და ორთვიანი შვებულება გამოცხადდა. მომდევნო, მეცხრე ეტაპი 3-5 აგვისტოს ფინეთში გაიმართება.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, ფორდი) | 3 სთ; 49.22,7 |
| 2 | სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | ჩამორჩა 38,6 |
| 3 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 1.34,1 |
| 4 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, ფორდი) | 2.41,3 |
| 5 | ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, ფორდი) | 4.52,7 |
| 6 | კრის ატკინსონი (ავსტრალია, სუბარუ) | 6.31,7 |
| 7 | იან კოპეცკი (ჩეხეთი, შკოდა) | 8.15,8 |
| 8 | მანფრედ შტოლი (ავსტრია, სიტროენი) | 8.56,2 |

### საერთო ჩათვლა

1. გრონჰოლმი — რაუტიაინენი 65 ქულა; 2. ლოები — ელენა 56; 3. ჰირვონენი — ლეჰტინენი 49; 4. სორდო — მარტი (ესპანეთი, სიტროენი) 28; 5. პეტერ სოლბერგი — მილსი 26; 6. ჰენინგ სოლბერგი — მენკერუდი 24; 7. ატკინსონი — მაკნილი 15; 8. ლატვალა — ანტილა (ფინეთი, ფორდი) 12; 9. კარლსონი — ჟირადე (შვედეთი, სიტროენი) 9; 10. შტოლი — მინორი 9

### კონსტრუქტორთა თასი

ფორდი 114 ქულა, სიტროენი 86, სუბარუ 43, სტობარდ-ფორდი 41, კრონოს სიტროენი 27

## მოტორბოლა

# პედროსამ როსის ვერ გაუძლო




AFP მუჯელოდან

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა ვალენტინო როსიმ ორი კვირის წინ საფრანგეთში ჩაფლავების (მეექვსე ადგილი) შემდეგ გუშინ „თავის მოედანზე" — იტალიაში ეფექტური რევანში აიღო.

28 წლის „დოქტორი" კვალიფიკაციაში მესამე იყო და რბოლა პირველი რიგიდან დაიწყო, მაგრამ, როგორც ხშირად ემართება, სტარტი ჩააგდო და მეშვიდე პოზიციაზე აღმოჩნდა.

პოულ-პოზიციაზე მდგომმა ავსტრალიელმა კეისი სტოუნერმა მეწინავეობა ადვილად შეინარჩუნა, მის უკან კი უკვე პირველ წრეზე ბევრი გადაადგილება მოხდა. მწვანე კონტინენტელს დიდხანს არ დასცალდა ლიდერობა, ესპანელმა დანიელ პედროსამ მერვე ადგილიდან ნელ-ნელა აუარა გვერდი წინმდგომებს და მეხუთე წრეზე პელოტონს თავში მოექცა. მაგრამ ბოლომდე ვერც მან გაძლო — როსიმ ჩვეული დიდოსტატურ-აგრესიული სტილით მიყოლებით გაასწრო მეტოქეებს, პედროსაც მცირე შეცდომაზე დაიჭირა და უკვე დისტანციის მესამედის გავლის შემდეგ ისიც მოინელა.

გამარჯვებულიც პრაქტიკულად მაშინ გაირკვა. დენიმ ერთი-ორჯერ კი სცადა „დოქტორის" გასწრება, მაგრამ უშედეგოდ. მიმდინარე სეზონში სამი რბოლის მომგები სტოუნერი „მუჯელოზე" მეოთხე იყო, ხოლო შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი ნიკი ჰეიდენი („ჰონდა") — მხოლოდ მეათე.

დანარჩენ ორ კლასში აღსანიშნავია ჩემპიონ ხორხე ლორენცის წაქცევა (ესპანელმა კი შეძლო რბოლის გაგრძელება, თუმც მხოლოდ მერვე ადგილზე გავიდა) და 125-იანელების უაღრესად მჭიდრო ფინიში — გამარჯვებულსა და მეოთხეადგილოსანს შორის სხვაობა სულ რაღაც წამის მეათედი იყო.

**გია ახალაძე**

### მსოფლიოს ჩემპიონატი. მეექვსე ეტაპი

**იტალიის დიდი პრიზი. მუჯელო— 5,24 კმ**

**მოტო გრან პრი — 120,6 კმ**

1 ვალენტინო როსი (იტალია, ფიატ იამაჰა) — 42 წთ; 42,4
2 დანიელ პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) — ჩამორჩ. 3,1
3 ალექს ბარუში (ბრაზილია, დანტინ დუკატი) — 6,0

**საერთო ჩათვლა**

1 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, დუკატი მალბორო)115 ქულა; 2 როსი 106; 3 პედროსა 82; 4 მარკო მელანდრი (იტალია, ჰონდა გრესინი) 68; 5 კრის ვერმიულენი (ავსტრალია, სუძუკი) 63

**250 სმ³— 110,1 კმ**

1 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, მასტერ აპრილია) — 40 წთ; 18,6
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, მასტერ აპრილია) — ჩამორჩ. 0,9
3 ჰექტორ ბარბერა (ესპანეთი, ტოტი აპრილია) — 7,7

**საერთო ჩათვლა**

1 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია) 128 ქულა; 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, კოპრონ ჰონდა) 101; 3 დე ანჯელისი 95; 4 ბატისტა 89; 5 ბარბერა 63

**125 სმ³— 104,9 კმ**

1 ჰექტორ ფაუბელი (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — 40 წთ; 14,2
2 სერხიო გადეა (ესპანეთი, ბანკახა აპრილია) — ჩამორჩ. 0,02
3 სიმონე კორსი (იტალია, სკაილდ აპრილია) — 0,05

**საერთო ჩათვლა**

1 ფაუბელი 102 ქულა; 2 გაბორ ტალმაში (უნგრეთი, ბანკახა აპრილია) 95; 3 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ზედლორფ დერბი) 91; 4 კორსი 71; 5 გადეა 66

## ველორბოლა

# 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი



AFP მილანიდან

დანილო დი ლუკა მილანში შამპანურით შევიდა

# ვარდისფერი კილერი
## დანილო დი ლუკა ჯიროს ჩემპიონია

დანილო დი ლუკამ საწყის, სარდინიულ ეტაპებზე დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა, მილანში ვარდისფერ მაისურაში გამოწყობილი შეგრიალდა და საიუბილეო, რიგით 90-ე „ჯირო დიტალია" მოიგო.

საერთო ჩათვლას სათავეში დი ლუკა პირველად მეორე ეტაპის შემდეგ ჩაუდგა. მერე მცირე ხნით ვარდისფერი მაისურა სხვებს გადააბარა და მე-12, სამთო ეტაპზე, ფრანგულ ბრიანსონში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ გენერალურ კლასიფიკაციას თავში რომ მოექცა, ახლოს აღარავინ გაიკარა. დი ლუკას გადასწრების მიზერული შანსი მის მდევრებს შაბათის ეტაპზე ჰქონდათ, როდესაც ვერონაში 43-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა ჩატარდა. ამ 43 კილომეტრზე „კილერად" წოდებულმა დანილომ მხოლოდ მე-8 შედეგი აჩვენა, მაგრამ ამით არც არაფერი დაშავებულა — ენდი შლეკმა მას მხოლოდ 29 წამი მოუგო, ხოლო სხვა კონკურენტები — ძველი ჩემპიონები დამიანო კუნეგო და ჯილბერტო სიმონი სულაც დი ლუკაზე უკან აღმოჩნდნენ.

ეს ეტაპი ყაზახური „ასტანას" იტალიელი მრბოლების — პაოლო სავოლდელისა და ედი მაცოლენას გამარჯვებით დასრულდა, რის შემდეგადაც მაცოლენიმ საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავა.

ბოლო, „გასასეირნებულ" გუშინდელ ეტაპზე კი საუკეთესო ალესანდრო პეტაკი იყო და ეს გახლდათ თანამედროვეობის საუკეთესო სპრინტერის მეხუთე გამარჯვება აწ უკვე გასრულებულ რბოლაში.

**მე-20 ეტაპი. ბარდოლინო-ვერონა**

**43 კმ. ინდივიდუალური რბოლა**

| | |
|---|---|
| 1. პაოლო სავოლდელი (იტალია, „ასტანა") | 52წთ 20წმ |
| 2. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა") | +36წმ |
| 3. დევიდ ზაბრისკი (აშშ, CSC) | +38წმ |
| 4. ლასლო ბოდროგი (უნგრეთი, „კრედიტ აგრიკოლი") | +1წთ 08წმ |
| 5. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე") | +1წთ 16წმ |

**21-ე ეტაპი. ვესტონე-მილანი. 185 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „ლამპრე") | 5სთ 18წთ 54წმ |
| 2. არიელ მაქსიმილიან რიჩეზე (არგენტინა, „პანარია") | |
| 3. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") | |
| 4. ჯუზეპე პალუმბო (იტალია, „აკვა ე საპონე") | |
| 5. სტეფანო ძანინი (იტალია, „სონი დიუვალი") | *ყველას იგივე დრო* |

**საბოლოო მდგომარეობა**

| | |
|---|---|
| 1 დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი" | 92 სთ 59 წთ 39 წმ |
| 2 ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +1 წთ 55 წმ |
| 3 ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა") | +2 წთ 25 წმ |
| 4 ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | +3 წთ 15 წმ |
| 5 დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | +3 წთ 49 წმ |
| 6 რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | +7 წთ 00 წმ |
| 7 ევგენი პეტროვი (რუსეთი, „ტინკოფი") | +8 წთ 34 წმ |
| 8 მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე") | +10 წთ 14 წმ |
| 9 ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი") | +10 წთ 44 წმ |
| 10 დავიდ აროიო დურანი (ესპანეთი, „კაისე დეპარგნი") | +10 წთ 58 წმ |

**საუკეთესო სამთო მრბოლი**

| | |
|---|---|
| 1 ლეონარდო პიეპოლი (იტალია, „ლიქუიგასი") | 79 ქულა |
| 2 ფერტუნატო ბალანი (იტალია, „პანარია") | 46 |
| 3 დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 45 |
| 4 ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | 41 |
| 5 რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | 36 |

**საუკეთესო სპრინტერი**

| | |
|---|---|
| 1 ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი") | 185 ქულა |
| 2 დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 130 |
| 3 პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") | 120 |
| 4 არიელ მაქსიმილიან რიჩეზე (არგენტინა, „პანარია") | 107 |
| 5 ლეონარდო პიეპოლი (იტალია, „სონი დიუვალი") | 93 |

**საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლი**

| | |
|---|---|
| 1 ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | 93 სთ 01 წთ 34 წმ |
| 2 რიკარდო რიკო (იტალია, „სონი დიუვალი") | +5 წთ 05 წმ |
| 3 დომენიკო როზოვივო (იტალია, „პანარია") | +22 წთ 00 წმ |
| 4 ვიჩენცო რიბალი (იტალია, „ლიქუიგასი") | +29 წთ 47 წმ |
| 5 ბრანისლავ სამოილაუ (ბელარუსი, „აკვა ე საპონე") | +32 წთ 24 წმ |

**გუნდური ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1 სონი დიუვალი (იტალია) | 278 სთ 11 წთ 31წმ |
| 2 ლიქუიგასი (იტალია) | +3 წთ 53 წმ |
| 3 ლამპრე (იტალია) | +6 წთ 06 წმ |
| 4 ასტანა (ყაზახეთი) | +6 წთ 56 წმ |
| 5 პანარია (იტალია) | +10 წთ 15 წმ |

## აფროსნობა

# ლუდის თემა ლუი ვუტონის თასზე
## მეორე კათხა უფრო კარგი დასალევია




ახალზელანდიელებს ვალენსიაში ქომაგები არ აკლიათ

**ნახევარფინალების** შემდეგ ერთ კვირაში ლუი ვუტონის თასის ფინალი გაჩაღდა ვალენსიის წყლებში. აქ ერთმანეთს 5 მოგებამდე ეჯიბრებიან ახალზელანდიური იახტა „თიმ ნიუ ზილენდ" და იტალიური „ლუნა როსა". ამათ შორის გამარჯვებული კი უპრესტიჟულესი და უძველესი ამერიკის თასისთვის ბრძოლაში გამოიწვევს მის ამჟამინდელ მფლობელს, შვეიცარიულ „ალინგის", რომელიც სადღეისოდ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ჩაითვლება მსოფლიოს საუკეთესო ცალანძიან იახტად.

იტალიურმა ეკიპაჟმა ნახევარფინალში ფავორიტი ამერიკული ნავის „ბმვ ორეკლის" უიოლესად, 5:1 დამარცხებით ისეთი ემოციური მუხტი აიღო, რომ ხალხმა იფიქრა, ესენი ფინალშიც ასე იფრენენ, კი არ იცურავებენო. იტალიელებმა მართლაც ყოჩაღად დაიწყეს ლუი ვუტონის თასისთვის ბრძოლა და პირველ იელისს, ფინალური სერიის პირველ გაცურვაში უდაძაბულესი ბრძოლა გაუმართეს ახალზელანდიელებს, რომლებიც ჰორიზონტზე ალინგის გამოჩენამდე ამერიკის თასს ორგზის, ანუ 8 წელი ფლობდნენ. ახალზელანდიელებმა უკეთ დაიწყეს და თავიდანვე უსწრაფესად გაიჭრნენ წინ. „ლუნა როსამ" შორს არ გაუშვა მეტოქე, პა-პა, ერთი კორპუსის სიგრძით თუ ჩამორჩა პირველ გზობაზე, მერე კი დისტანციის დანარჩენი სამი მეოთხედიც სულ კუდში ჩაბმულივით მიჰყვებოდა. ნავები ისე ახლო-ახლო მიცურავდნენ, რომ არა ეკიპაჟთა წევრების უდიდესი ცოდნა-გამოცდილება, ერთმანეთსაც ურქენდნენ თავიანთი ბასრი კიჩოებით. მაგრამ იტალიელებმა ვერ მოახერხეს ახალზელანდიელთა გვერდის ავლა და პირველ ბრძოლაში დამარცხდნენ, სულ რაღაც 8 წამით გვიან გადაკვეთეს ფინიში.

„ჩვენმა ეკიპაჟმა ძალიან კარგად იმუშავა, მოვახერხეთ, ახლო მივყოლოდით და მათი შეცდომისთვის დაგვეცადა. ესაა მთელი ნაოსნობა — მეტოქის შეცდომაზე ჩასაფრება და ამის გამოყენება. მაგრამ „ნიუ ზილენდი" დღეს შეუცდომელი იყო" — ამბობდა ხმელეთზე გადმობიჯების შემდეგ დამარცხებულთა ტაქტიკოსი ტორბენ გრაელი.

გამარჯვებულთა სტრატეგოსმა ტონი რაემ კი მოგება იღბალს მიაწერა და ამით მეტოქეს პატივი მიაგო, მერე კი დასძინა — სერიის პირველი გაცურვა პირველი კათხა ლუდივითაა, მეორე გაცილებით იოლი დასალევიაო.

ცამდე მართალი ყოფილა ეს ლუდის მოყვარული კაცი. პირველი „კათხა" თუ მძიმედ წავიდა, მეორე უიოლესად ჩააბუყბუყეს მანაც და მისმა გუნდმაც. 2 ივნისს სერიის მეორე გაცურვაში „თიმ ნიუ ზილენდმა" აშკარად აჯობა „ლუნა როსას" აფრების ხმარებაში, განსაკუთრებით დიდი პირდაპირი აფრა სპინაკესი უფრო დროულად და მარჯვედ აღმართეს ახალზელანდიელმა ზღვის მგლებმა და იტალიელებს შანსი არ დაუტოვეს — ერთბაშად 40 წუთით მოიტოვეს უკან.

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €



ანა ჩაკვეტაძე

AFP მარი ზიდან

# ლუსიმ ამელი, ანამ ლუსი...

## შარაპოვას ჩაკვეტაძის შეჭმა გაუჭირდება

**სულ უფრო** რეალურია, რომ წლეულს „როლან გაროსის" კორტებზე შარშანდელი ფინალის გადამღერება ვიხილოთ. ტურნირის დაწყებამდე თუ კიდევ სჯეროდა ვინმეს, რომ როჯერ ფედერერისა და რაფაელ ნადალის კიდევ ერთ ჯახის ნახვა ასცდებოდა, ასეთი დღეისთვის თითქმის აღარავინ დარჩა. შვეიცარიელი გენიოსი და ესპანელი ვუნდერკინდი შესაშური ერთსულოვნებით ამტკიცებენ, რომ მათი დონის ჩოგნის მჭნეველი დღევანდელ საჩოგბურთო ამქარში არავინ მოიძებნება. ორივენი ისე დაფრინავენ კორტზე და ისე იოლად უმკლავდებიან მეტოქეებს, თითქოს ვარჯიშებზე იყვნენ და სპარინგპარტნიორების წინააღმდეგ თამაშობდნენ.

ამ ორიდან განსაკუთრებულად იოლად მაინც ნადალი მიიწევს, რომელმაც მეოთხე წრეში გზა მთლად ნერვაუტოკელბლად გაიკაფა. ესპანელმა ჯადო ბიჭმა, რომელიც გუშინ 21-სა შესრულდა, დაბადების დღის წინ კარგად წაივარჯიშა 26 წლის თანამემამულე ალბერტ მონტანიესზე და კატალონიელის წაქცევას 2 საათზე ოდნავ მეტი მოანდომა. საინტერესო კი ის არის, რომ მალიორკელი თანდათანობით უმატებს და თავს სულ უფრო კომფორტულად გრძნობს — მით უმეტეს ახლა, როცა გამოდარების შემდგომ კორტები გაცილებით სწრაფი გახდა. ტემპიან თამაშში კი ნადალს ბადალი თითქმის არ ჰყავს.

„მონტანიესთან ტურნირზე ჯერჯერობით საუკეთესო თამაში ვაჩვენე, თუმც მომატება კიდევ შემიძლია და მგონი, მოვახერხებ კიდეც" — მეტოქეებს აშინებს ნადალი.

მომავალი მეტოქე კი რაფას, იცოცხლეთ, ძლიერი ჰყავს — ესპანელს ლეიტონ ჰიუიტთან მოუწევს ურთიერთობების გარკვევა, რომელიც სულაც არ გეგმავს შესაწირად გამზადებული ზვარაკივით თავის დახრას და მალიორკელს იქით ემუქრება. ერთი ეგაა, რომ ოზ ბიჭს შეიძლება ძალები არ ეყოს ნადალთან გასამკლავებლად. ლეიტონმა ბოლო ორ შეხვედრაში კორტზე სამ-სამ საათი გაატარა და ამიტომ მისი ფიზიკური გამძლეობა გარკვეულ კითხვებს ბადებს.

აი, ფედერერს კი პირველი სერიოზული გამოცდის ჩაბარება უკვე გუშინ მოუწია, როცა მიხაილ იუჟნიმ პირობა აასრულა და დიად ალპელს ნამდვილი ომი გაუმართა. „მხიარულმა როჯერმა" იწვალა და სანერვიულოც არ მოჰკლებია, მაგრამ მთლიანობაში მაინც დამაჯერებელი იყო და გამარჯვებისთვის სამი სეტი იმყოფინა. იუჟნიმ განსაკუთრებით თავი პირველ პარტიაში გამოიდო, როდესაც ფედერერი თავიდანვე დააბრეიკა და კარგა ხანს წინაც იყო. თუმც შვეიცარიელმა გაათანაბრა და საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა, სადაც უკვე ადვილად იმძლავრა. რუსს არც მომდევნო სეტებში დაუყრია ფარ-ხმალი, მაგრამ ფედერერმა საქმე სათუოდ აღარ გაიხადა და ერთნაირი ანგარიშით — 6:4 იმარჯვა.

ამ უქმეების ყველაზე დაძაბული ჯახი კი ახალგაზრდა ნოვაკ ჯოკოვიჩის ოლივიე პატიენსთან დაპირისპირება გამოდგა. მშობლიური ტრიბუნების გიჟური მხარდაჭერით შეგულიანებულმა ფრანგმა სისხლი გაუშრო სერბს და კარგა ხანს მატჩის სადავეებსაც არ უშვებდა ხელიდან, მაგრამ საჭირო მომენტში ნერვებმა დაალალატა, რითაც ბალკანელმა ჯალათის სიმშვიდით ისარგებლა.

ქალთა ბადეზე საუბრისას კი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ამელი მორესმოს მარცხი, რომელიც შაბათს ლუსი შაფაროვამ გაამწარა. მართალია, ამის ხაზგასმა გარკვეუწილად აზრს კარგავს, რადგანაც ჩეხი ტურნირს გუშინ გამოეთხოვა, როცა ანა ჩაკვეტაძესთან დამარცხდა, მაგრამ მხარბეჭიანი ფრანგის წაგება ყოველთვის ცალკე გამოსაყოფი მოვლენაა. შაფაროვა კი მორესმოს ნამდვილ კოშმარად ექცა, რადგანაც ფრანგს წლის პირველ სლემტურნირზეც ამ ჩეხმა მოუსწრაფა სიცოცხლე.

როგორც ითქვა, შაფაროვამ ამ გმირობის შემდეგ დიდხანს ველარ გასტანა — მას თავის მხრივ ჩაკვეტაძე გაუსწორდა, რომელიც ზედიზედ მეორე სლემტურნირის მეოთხედფინალში გადის. ავსტრალიის ღია პირველობისა არ იყოს, ანას აქაც მარია შარაპოვასთან მოუწევს დატაკება და ახლა შეეცდება, იანვრის დასანანი მარცხისთვის იძიოს შური. თავად შარაპოვამ დიდი წვალებით უწია მეოთხედფინალს, რადგანაც პატი შნიდერთან ექვსი მატჩ-პოინტის ამოქაჩვა მოუწია. და მხოლოდ მესამე სეტშიღა მოერია.

აი, ერთი მეოთხედფინალი კი ისეთი იქნება, ნებისმიერ ფინალს რომ დაამშვენებდა — ჟუსტინ ენინი სერენა უილიამსთან გაარკვევს ურთიერთობას. ისე, ამას ნაადრევი ფინალიც შეიძლება ვუწოდოთ, რადგანაც ბევრის აზრით ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა სწორედ ამ წყვილში იმალება. თუმც სანამ ეს დუელი გამართულა, ჩოგბურთელების მეოთხე წრის მატჩებზე მოგახსენებთ, რომლებშიც არც მოქმედ და არც ექსპირველ ჩოგნებს პრობლემები არ ჰქონიათ. ჟინკა ბელგიელმა სიბილ ბამერს, სერენამ კი დინარა საფინას გადაუარა.

ძალიან საინტერესო უნდა გამოდგეს უკვე აკაშკაშებული ახალგაზრდა ვარსკვლავების — ელენა იანკოვიჩისა და ნიკოლ ვაიდიშოვას შეხვედრაც. აქ პროგნოზის გამოთქმას ყველა ერიდება, რადგანაც დიდწილად იმას დარჩება მოგება, ვინც ნერვებს უკეთესად გაუმკლავდება. აქამდე ორივემ საკმაოდ იოლად იარა, რაც გუშინაც დამტკიცდა, როცა იანკოვიჩმა მხოლოდ ორი, ვაიდიშოვამ კი სამი გეიმი დათმო.

ბოლო მეოთხედფინალში პარიზში ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად ჩასული სვეტლანა კუზნეცოვა ანა ივანოვიჩის წინააღმდეგობის დაძლევას ეცდება. აქ რუსის შანსები გაცილებით მაღალია, მაგრამ საეჭვოა, სერბმა ყურები ჩამოყაროს, მით უმეტეს, რომ სულ რაღაც ერთი თვის წინ ბერლინის ტურნირის ფინალში ორ სეტში გაუმკლავდა კუზნეცოვას.

**კახა ლომაშვილი**

### 2 ივნისი

**კაცები**

**მესამე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (6, სერბეთი) — ოლივიე პატიენსი (საფრანგეთი) 7:6 2:6 3:6 7:6 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — დავიდ ფერერი (12, ესპანეთი) 4:6 7:6 6:3 6:3; **მარკოს ბაღდატისი** (16, კვიპროსი) — იან ჰაჯეკი (ჩეხეთი) 6:2 6:2 (უარი); **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — პოლ-ანრი მატიო (საფრანგეთი) 7:6 6:0 6:3; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — ოსკარ ერნანდესი (ესპანეთი) 6:7 6:3 6:0 6:1; **კარლოს მოია** (23, ესპანეთი) — ხუან პაბლო ბრეზიკი (არგენტინა) 6:1 6:3 7:5; **ლეიტონ ჰიუიტი** (14, ავსტრალია) — იარკო ნიემინენი (20, ფინეთი) 1:6 6:3 7:5 6:2; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 6:1 6:3 6:2

**ქალები**

**მესამე წრე**

**ანა ივანოვიჩი** (7, სერბეთი) — იოანა ოლარუ (რუმინეთი) 6:2 6:0; **ანაბელ მედინა გარიგესი** (24, ესპანეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (12, სლოვაკეთი) 4:6 7:6 7:5; **შაჰარ პირი** (13, ისრაელი) — კატარინა სრებოტნიკი (17, სლოვენია) 6:1 4:6 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) 6:2 6:3; **ლუსი შაფაროვა** (25, ჩეხეთი) — ამელი მორესმო (5, საფრანგეთი) 6:3 7:6; **ანა ჩაკვეტაძე** (9, რუსეთი) — აი სუგიამა (21, იაპონია) 6:4 6:4; **პატი შნიდერი** (14, შვეიცარია) — კარინ კნაპი (იტალია) 6:1 4:6 7:5; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1 6:4

### 3 ივნისი

**კაცები**

**მეოთხე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — მიხაილ იუჟნი (13, რუსეთი) 7:6 6:4 6:4; **ტომი რობრედო** (9, ესპანეთი) — ფილიპო ვოლანდრი (29, იტალია) 6:2 7:5 6:1; **გილერმო კანასი** (19, არგენტინა) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:0 6:4 6:2; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — დავიდ ნალბანდიანი (15, არგენტინა) 6:3 7:6 3:6 7:6

**ქალები**

**მეოთხე წრე**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — სიბილ ბამერი (20, ავსტრია) 6:2 6:4; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — დინარა საფინა (10, რუსეთი) 6:2 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — მარიონ ბარტოლი (18, საფრანგეთი) 6:1 6:1; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (6, ჩეხეთი) — ტატიანა გარბინი (19, იტალია) 6:3 6:1; **ანა ივანოვიჩი** (7, სერბეთი) — ანაბელ მედინა გარიგესი (24, ესპანეთი) 6:3 3:6 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — შაჰარ პირი (13, ისრაელი) 6:4 6:3; **ანა ჩაკვეტაძე** (9, რუსეთი) — ლუსი შაფაროვა (25, ჩეხეთი) 6:4 0:6 6:2; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — პატი შნიდერი (14, შვეიცარია) 3:6 6:4 9:7

# რიამ ქართველებს რია-რია აუტეხა

**სტამბოლში** გუშინ დასრულდა ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 10-ათასიანი შეჯიბრი. ტურნირში ოთხი ჩვენებური იღებდა მონაწილეობას, რომელთაგან სამმა მეოთხედფინალს უწია. ამ სამიდან ორნი — მანანა შეფაქიძე და სოფო შაფათავა მეოთხედფინალში პირველ-მეორე ნომრებად განთესილებთან, შესაბამისად, გერმანელ რია დოერნემანთან და თურქ კაგლა ბუიუკაკჩაისთან დამარცხდნენ და ნახევარფინალში მხოლოდ თინა ყაველაშვილი გავიდა.

სამწუხაროდ, შეჯიბრის მთავარ ფავორიტად მიჩნეულ 21 წლის დოერნემანს, ვისაც WTA-სრეიტინგში კარიერის უმაღლესი, 462-ე, ადგილი უჭირავს, ვერც ყაველაშვილმა აჯობა. თინა სამი სეტი კი ეომა მეტოქეს, მაგრამ 4:6 6:4 3:6 დამარცხდა და ფინალის გზაზე გერმანელი რია გაატარა.



[illegible] ფოტო

# ოქსანა კალაშნიკოვას პარიზული გასროლა

**გუშინ** პარიზში მიმდინარე სეზონის მეორე სლემტურნირზე ჭაბუკთა და გოგონათა შეჯიბრიც დაიწყო. „როლან გაროსის" წითელ თიხაზე წარმატებული სტარტი აიღო 16 წლის ოქსანა კალაშნიკოვამ. პირველ წრეში ჩვენებურის მეტოქე რუსი ელენა ჩერნიაკოვა იყო და ოქსანამ იოლად — 6:2 7:5 იმარჯვა.

თამაშის მსვლელობისას კალაშნიკოვამ 3 ეისი მოაწოდა, არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია და 9 ბრეიკ-პოინტიდან 5 გამოიყენა.

მეორე წრეში ოქსანას მეტოქე გოგონათა შორის მე-4 ნომრად განთესილი რუმინელი სორანა კირსტეა იქნება, რომელმაც საწყის ეტაპზე 6:1 6:1 გაანადგურა ფრანგი ვიქტორია ლარიერი. თუ ამ რუმინელსაც აჯობებს, მერე კალაშნიკოვა ან პორტუგალიელ ბრიტოს შეხვდება, ანაც ებრაელ გლუშკოს.

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. პირველი ეტაპი

**V ტური**

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 (2,5:2,5) | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 (2,5:2,5) | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 (2:3) | სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 0,5:0,5 (3,5:1,5) | ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 1:0 (2:3) | ევგენი ბარეევი (რუსეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 (2:3) | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |

**VI ტური**

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 (3:3) | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 0,5:0,5 (3:3) | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) | 0,5:0,5 (3,5:2,5) | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |
| ევგენი ბარეევი (რუსეთი) | 0,5:0,5 (3,5:2,5) | იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 1:0 (3:3) | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |

**ტაი-ბრეიკი**

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 4:2 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 0,5:2,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 2,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |

# სომეხმა კაკალი გატეხა



მაგნუს კარლსენი

**მეხუთე ტურში** ალექსანდრ გრიშჩუკმა თანამემულე ვლადიმირ მალახოვი დაამარცხა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. შევახსენებთ, რომ მანამდე მეორე ეტაპის საგზური პეტერ ლეკომ და გატა კამსკიმ მოიპოვეს. მეექვსე ტურში მათ კიდევ ორნი, ევგენი ბარეევი და სერგეი რუბლევსკი დაემატათ, დანარჩენებმა კი ტაიბრეიკებში გააგრძელეს ბრძოლა.

დამატებით დროში ალექსეი შიროვმა და ბორის გელფანდმა მალე მოათავეს საქმე, მეტოქეები სამ პარტიაში დაამარცხეს და მომდევნო ეტაპზეც გავიდნენ. ლევონ არონიანისა და მაგნუს კარლსენის შეხვედრა კი საკმაოდ გაიწელა.

16 წლის ნორვეგიელი ნამეტანი კერკეტი კაკალი გამოდგა, მსოფლიოს თასის მფლობელს ტოლი არაფერში დაუდო და ექვსი პარტია ეთამაშა. პირველი შეხვედრა სომეხმა მოიგო, მომდევნო ორი ყაიმით დასრულდა, მეოთხეში კი ვიკინგმა იმარჯვა და კიდევ ორი დამატებითი დაინიშნა. როგორც ჩანს, ამდენმა თამაშმა ყმაწვილი ვიკინგი დაღალა, ზედიზედ ორივე მატჩი წააგო და ასპარეზობას ღირსეულად გამოეთხოვა.

მეორე ეტაპზე მეტოქეები ასე დანაწილდნენ: ალექსეი შიროვი— ლევონ არონიანი, პეტერ ლეკო — ევგენი ბარეევი, სერგეი რუბლევსკი — ალექსანდრ გრიშჩუკი, გატა კამსკი — ბორის გელფანდი. მატჩები 6 ივნისს განახლდება.

**ლუშა გეგეჭკორი**



# სულტანი ტახტზე ავიდა

## დავიძინებ, გავიღვიძებ, ჩემპიონი ვიქნები



**შაბათს** ატლანტიკ სიტიში რუსმა სულტან იბრაგიმოვმა მსაჯთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოუგო ამერიკელ შენონ ბრიგსს და მძიმე წონის მოკრივეთა შორის WBO-ს (ორგანიზაცია) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

WBO-ს საჩემპიონო ქამარი ერთადერთი იყო მძიმე წონაში, რომელსაც ამერიკელი მოკრივე ფლობდა. ბრიგსმა ეს ქამარი ამ რამდენიმე თვის წინ ბელარუს სერგეი ლიახოვიჩს წაართვა და აი, იბრაგიმოვმა ტიტული ისევ პოსტსაბჭოთა სივრცეში დააბრუნა. შედეგად, ოთხი ყველაზე პრესტიჟული ვერსიით, მძიმე წონის ჩემპიონები, ისევ, მხოლოდ და მხოლოდ პოსტსაბჭოელები არიან: უკრაინელ ვლადიმირ კლიჩკო, უზბეკი რუსლან ჩაგაევი და რუსები — ოლეგ მასკაევი და იბრაგიმოვი.

არადა, ორთაბრძოლამდე ბრიგსი, თითქოს უფრო მხნედ გამოიყურებოდა. 123,8 კილოგრამიანი ამერიკელი იბრაგიმოვზე 23,6 კილოგრამით მძიმე იყო და თანაც, მას გაცილებით მეტი გამოცდილება უმაგრებდა ზურგს.

ჩხუბი, როგორც ბოლო ხანებში ძალზე ხშირად ხდება ხოლმე, უინტერესო გამოდგა. ბრიგსი უფრო აქტიური იყო და შეტევებს ეშურებოდა, მაგრამ მის მუშტებს სიზუსტე აკლდა. იბრაგიმოვი კი ძირითადად თავდაცვაზე იყო და აშკარად ჩანდა, მიზნად მეტოქისთვის ქანცის გაცლა ჰქონდა დასახული.

მესამე რაუნდის შემდეგ ამერიკელს დაღლა დაეტყო, ჰაერს დიდდიდი ულუფებით ყლაპავდა და აშკარა გახდა, თუ ბრიგსი მოიგებდა, მხოლოდ ნოკაუტით. იბრაგიმოვმა ბრძოლის შემდეგ აღნიშნა კიდეც, მთელი 12 რაუნდის მანძილზე ვფრთხილობდი, შენონი სერიოზული მოკრივეა, უძლიერესი დარტყმა აქვს და ნოკაუტს ვუფრთხოდიო.

ნოკაუტი არ გამოვიდა. ქულების დამთვლელმა მსაჯებმა კი უპირატესობა რუსს მიანიჭეს — 119:109, 117:111, 115:113.

იბრაგიმოვმა გამარჯვების შემდეგ უცნაური რამ თქვა: „არ მიყვარს ასეთი ჩხუბები და როცა ორთაბრძოლას ასეთი პირი უჩანს, მასში მონაწილეობა არ მინდება". ამ სიტყვებს ახალმა ტრიუმფატორმა შემდეგ ფილოსოფიურად ასეთები დაამატა: „რაც არ უნდა იყოს, ახლა წავალ და როგორც ჩემპიონი, ისე დავიძინებ და რომ გავიღვიძებ, მაშინაც ჩემპიონი ვიქნები. შემდეგ კი ახალი ცხოვრება დაიწყება".

32 წლის იბრაგიმოვზე სამი წლით უფროსმა ბრიგსმა, რომელიც ასთმით არის ავად, მარცხის მიზეზად სწორედ ავადმყოფობა დაასახელა და მეტოქესაც გაჰკრა კბილი: „ამ ბრძოლაში ყველაფერს ისე ვაკეთებდი, როგორც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ იბრაგიმოვი თავიდან, უბრალოდ, რინგზე მოძრაობდა, ხოლო შემდეგ აშკარად გამირბოდა. მე ყველას დავუმტკიცე, რომ ასთმიანი კაცი შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონი იყოს. სამწუხაროდ, ბოლო ორი კვირის მანძილზე ხეირიანად ვერ ვვარჯიშობდი — ავადმყოფობის გამო უამრავ ანტიბიოტიკს ვიღებდი". ამის შემდეგ ბრიგსმა ისიც თქვა, მიუხედავად მარცხისა, ჩხუბისთვის თავის დანებებას არ ვაპირებო და ბოლოს, იბრაგიმოვის არ იყოს, ამერიკელმაც ერთი უცნაური რამ ბრძანა: „მათ მაიძულეს ამ ორთაბრძოლაში მონაწილეობის მიღება. მითხრეს, თუ არ იჩხუბებ, სასამართლოში გიჩივლებთო".

დალოცვილებო, თუ არც ერთს არ გინდოდათ ეს ჩხუბი, რაღა ძალა გადგათ. თანაც, ხეირიანადაც რომ ვერ იჩხუბეთ?!

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. სუპერეტა 4 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 64 | ენჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 21:00 | 65 | სილვია-დეგერფორსი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | არგენტინა 4 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 173 | რივერ პლეიტი-გოდოი კრუზი | 1.45 | 3.70 | 6.20 | 1.04 | 1.17 | 2.31 |
| | | ბრაზილია 4 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 174 | ინტერნასიონალი-ნაუტიკო | 1.40 | 3.70 | 6.50 | 1.01 | 1.15 | 2.35 |
| | | ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები 6 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 127 | საბერძნეთი-მოლდოვა | 1.16 | 6.00 | 14.00 | 1.00 | 1.07 | 4.19 |
| 14:00 | 129 | ხორვატია-რუსეთი | 1.95 | 3.10 | 3.70 | 1.19 | 1.27 | 1.68 |
| 17:00 | 130 | ყაზახეთი-აზერბაიჯანი | 2.30 | 2.90 | 3.10 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 20:00 | 131 | ანდორა-ისრაელი | 20.00 | 9.00 | 1.06 | 6.20 | 1.00 | 1.00 |
| 20:15 | 133 | ფარერები-შოტლანდია | 16.00 | 7.00 | 1.11 | 4.86 | 1.03 | 1.00 |
| 21:00 | 135 | ნორვეგია-უნგრეთი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 21:00 | 136 | ბულგარეთი-ბელარუსი | 1.38 | 4.20 | 7.50 | 1.03 | 1.16 | 2.69 |
| 21:15 | 137 | ფინეთი-ბელგია | 2.25 | 3.00 | 3.10 | 1.28 | 1.30 | 1.52 |
| 22:00 | 138 | გერმანია-სლოვაკეთი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 22:00 | 140 | რუმინეთი-სლოვენია | 1.35 | 4.30 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.79 |
| 22:15 | 141 | შვედეთი-ისლანდია | 1.20 | 5.50 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.66 |
| 22:15 | 143 | ლუქსემბურგი-ალბანეთი | 5.50 | 3.80 | 1.50 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| 22:15 | 145 | ბოსნია-მალტა | 1.20 | 5.50 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.77 |
| 22:30 | 147 | ლიხტენშტაინი-ესპანეთი | 40.00 | 10.00 | 1.02 | 8.00 | 1.00 | 1.00 |
| 22:30 | 149 | სასომხეთი-პოლონეთი | 9.00 | 4.40 | 1.30 | 2.95 | 1.13 | 1.00 |
| 22:30 | 151 | ესტონეთი-ინგლისი | 13.00 | 4.80 | 1.22 | 3.50 | 1.11 | 1.00 |
| 22:30 | 153 | ლატვია-დანია | 5.50 | 3.30 | 1.65 | 2.06 | 1.26 | 1.10 |
| 22:45 | 155 | ლიტვა-იტალია | 8.00 | 4.20 | 1.40 | 2.75 | 1.19 | 1.04 |
| | | ამხანაგური მატჩები 5 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 157 | იაპონია-კოლუმბია | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 22:00 | 158 | ბრაზილია-თურქეთი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:45 | 159 | იამაიკა-ჩილე | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| 23:45 | 160 | მექსიკა-პარაგვაი | 1.70 | 3.30 | 4.55 | 1.12 | 1.23 | 1.91 |
| | | ჰოკეი. NHL 4 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 175 | ოტავა-ანაჰაიმი | 1.90 | 3.90 | 2.85 | 1.27 | 1.13 | 1.64 |
| | | ჩოგბურთი კაცები Roland Garros 4 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 200 | ანდრეევი-ბაგდატისი | 1.50 | 2.30 | | | | |
| 13:00 | 201 | ჯოკოვიჩი-ვერდასკო | 1.32 | 2.85 | | | | |
| 13:00 | 202 | მოია-ბიორკმანი | 1.15 | 4.00 | | | | |
| 13:00 | 203 | ნადალი-ხოსიტი | 1.03 | 8.00 | | | | |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი




ელდერ პოშტიგას პორტუგალიამ თომას ვერმაელენის ბელგიას აჯობა

AFP

## სომხებმა ყაზახეთში სერბეთი შეარცხვინეს

A ჯგუფი

**ყაზახეთი 1:2 სომხეთი**

0:1 არზუმანიანი (31), 0:2 ოვსეპიანი (39პ), 1:2 ბალტიევი (88პ)

**ყაზახეთი:** ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, ბალტიევი, ჩიჩულინი, კუკეევი (ტლეშევი 57), სერგიენკო (ბიაკოვი 36), სუიუმაგამბეტოვი, ჟუმასკალიევი (კორნიენკო 78)

**მწვრთნელი:** არნო პიიპერსი

**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, ოვსეპიანი, მელიქიანი, მინასიანი, თადევოსიანი, არაქელიანი (აკობიანი 80), მელქონიანი (ა. ქარამიანი 90), მხითარიანი (შაჰგელდიანი 75), მკრტჩიანი, ვოსკანიანი

**მწვრთნელი:** იან პორტერფილდი

**გაფრთხილება:** კუჩმა, მელქონიანი, ოვსეპიანი

**მსაჯი:** პაველ კრალოვეცი (ჩეხეთი)

17 100 მაყურებელი

**იქ,** სადაც ამას წინათ სერბეთის ნაკრები დამარცხდა, სომხეთმა მოიგო და შესარჩევში პირველი გამარჯვება მიითვალა. სტუმრებმა ნახევარი საათის თავზე, კუთხურის შემდეგ გათამაშებული კომბინაციით გახსნეს ანგარიში — რობერტ არზუმანიანმა თორმეტი მეტრიდან გაიტანა. ექვსი წუთის მერე ყაზახების კარში პენალტი დანიშნეს, რომელიც სარგის ოვსეპიანმა გამოიყენა.

მეორე ტაიმში მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ მხოლოდ პენალტს გამორჩნენ, ისიც თამაშის მიწურულს და რუსლან ბალტიევმა სხვაობა შეამცირა.

**აზერბაიჯანი 1:3 პოლონეთი**

1:0 სუბაშიჩი (6), 1:1 შმოლარეკი (63), 1:2, 1:3 კრჟინოვეკი (66, 90)

**აზერბაიჯანი:** ველიევი, აბასოვი, ე. გულიევი, რ. გულიევი, ჩერტოგანოვი, ა. გურბანოვი (ი. გურბანოვი 65), იმამალიევი (მაშიმოვი 70), აბასოვი, ქერიმოვი, ხ. მამედოვი (ჯავადოვი 53), სუბაშიჩი

**მწვრთნელი:** შაჰინ დინიევი

**პოლონეთი:** ბორუცი, ბაკი, დუდკა, ლევანდოვსკი, ვასილევსკი, ჟევლაკოვი, ბლაშჩიკოვსკი (ლობოძინსკი 57), კრჟინოვეკი, შმოლარეკი, რასიაკი (სობოლევსკი 81), ჟურავსკი (საგანოვსკი 57)

**მწვრთნელი:** ლეო ბეენჰაკერი

**გაფრთხილება:** რასიაკი, ველიევი, ი. გურბანოვი, ჯავადოვი, ვასილევსკი

**მსაჯი:** კოსტას კაპიტანისი (კვიპროსი)

4 500 მაყურებელი

**ერთი** საათის განმავლობაში აზერბაიჯანი ჯგუფის ლიდერ პოლონეთს უგებდა, მაგრამ უფრო ჯანღონიან სტუმრებს 25 წუთი ეყოთ სამი გოლის გასატანად. ლეო ბეენჰაკერის გუნდმა მეხუთე გამარჯვება მოიპოვა და მდევარს ხუთი ქულით უსწრებს.

გააზერბაიჯანელებულმა სერბმა ფორვარდმა ბრანიმირ სუბაშიჩმა ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა. მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში შესულმა არტურ ბორუცს შორ კუთხეში გაუტანა. ცოტა ხნის შემდეგ ხაგანი მამედოვს მართებდა სხვაობის გაზრდა, როცა პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ ფეხი აუკანკალდა და ააცილა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში კი პოლონელებმა ტემპს უმატეს, რასაც მასპინძელთა დაცვამ ველარ გაუძლო. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ები შმოლარეკმა ბადეში თავით შეაბრძანა, ხოლო სამი წუთის მერე იაცეკ კრჟინოვეკმა მცველის მოგერიებულს დაამატა და — 1:2. აზერბაიჯანელებმა გასათანაბრებლად გაიწიეს და ბოლო წუთზე კრჟინოვეკისგან მესამე გაუშვეს.

**ფინეთი 0:2 სერბეთი**

0:1 იანკოვიჩი (3), 0:2 იოვანოვიჩი (86)

**ფინეთი:** იასკელაინენი, პასანენი, კალიო, ჰიიპია, ტიჰინენი, ჰეიკინენი, ილოლა, ტაინიო (კოლკა 28), ვაირინენი, ფორსელი (იოჰანსონი 62), კუქი (ლიტმანენი 70)

**მწვრთნელი:** როი ჰოჯსონი

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, რუკავინა, კრსტაიჩი, ვიდიჩი, დრაგუტინოვიჩი, ნ. კოვაჩევიჩი, კუზმანოვიჩი, სტანკოვიჩი, იანკოვიჩი (ლაზოვიჩი 67), კრასიჩი (დულიაი 85), პანტელიჩი (იოვანოვიჩი 60)

**მწვრთნელი:** ხავიერ კლემენტე

**გაფრთხილება:** კოვაჩევიჩი, ჰიიპია, სტანკოვიჩი

**მსაჯი:** მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

33 615 მაყურებელი

**თანაბარძალიანი** მეტოქეების შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით დასრულდა და ხავიერ კლემენტეს გუნდი როი ჰოჯსონისას სამი ქულით გაექცა. სერბები მე-2 წუთზე კი დაწინაურდნენ — მარცხენა ფლანგიდან ივიცა დრაგუტინოვიჩის ჩაწოდებულ ბურთს ბოშკო იანკოვიჩმა ფინელთა კარში მიუჩინა ადგილი. მასპინძლებმა კარგა ხანს ვერ შეძლეს თამაშის დალაგება, სერბები კი კონტრშეტევებზე ცდილობდნენ სხვაობის გაზრდას. მეორე ტაიმის ბოლოს დამხვდურებმა ნელ-ნელა ააწყვეს და სტუმართა დაცვა გვარიანად დაალონეს, მაგრამ მილან იოვანოვიჩმა ისეთ დროს გაუტანა მეორე გოლი ჯუსი იასკელაინენს, რომ ფინელებს ქულის გადასარჩენად ძალიან ცოტა დრო დარჩათ და ველარაფერი მოახერხეს.

**ბელგია 1:2 პორტუგალია**

0:1 ნანი (43), 1:1 ფელაინი (55), 1:2 პოშტიგა (64)

**ბელგია:** სტიინენი, ფელაინი, ჰოფკენსი (დე მანი 46), სიმონსი, ვერმაელენი, კლემანი, მუდინგაი (ჟერარტსი 76), ვერტონგენი, დეფური, ე. მბენზა, სტერკელე (დე მული 61)

**მწვრთნელი:** რენე ვანდერეიკენი

**პორტუგალია:** რიკარდუ, მიგელი (ბოსინგვა 53), ფ. მეირა, ჟ. ანდრადე, პ. ფერეირა, ტიაგუ, პეტიტი, დეკუ, ნანი (დუდა 86), პოშტიგა (უგო ალმეიდა 79), კვარესმა

**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი

**გაფრთხილება:** პოშტიგა, დეფური, კვარესმა, პეტიტი

**გაძევება:** უგო ალმეიდა (90)

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი)

45 585 მაყურებელი

**სტუმრებს** არ ჰყავდათ კრიშტიანუ რონალდუ, რომელმაც ამ გუნდების პირველ მატჩში (პორტუგალიამ 4:0 მოიგო) მცველები დააწიოკა და დუბლი შეასრულა, მაგრამ ლუიშ ფელიპე სკოლარის შეგირდებმა მაინც მოახერხეს გამარჯვება ელდერ პოშტიგას დიდებული, შორიდან გატანილი გოლით. არ იყო რონალდუ, მაგრამ მანჩესტერელის ახალმა თანაკლუბელმა ნანიმ და ბარსელონელმა დეკუმ საუცხოოდ ითამაშეს.

პირველი ტაიმის მიწურულს ნანი საჯარიმოში შევიდა და მეორე სანაკრებო გოლი გაიტანა, შესვენების შემდეგ კი ბელგიელებმა გაათანაბრეს — სტეფან დეფურის პასს მარუან ფელაინის საგოლე თავური მოჰყვა. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ პოშტიგამ შორიდან ძლიერად გაისროლა და სტუმართა გამარჯვებისა შეაგდო.

თამაშის ბოლოს სტუმრები დაცვაში გამაგრდნენ, რასაც კვარესმას და პეტიტის გაყვითლება მოჰყვა, ხოლო უგო ალმეიდა გააძევეს.

**მაჭა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:6 | 19 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| სერბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| ფინეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| ბელგია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | 7 |
| ყაზახეთი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:10 | 5 |
| სომხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:7 | 4 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:16 | 4 |

6 ივნისი: ყაზახეთი — აზერბაიჯანი; ფინეთი — ბელგია; სომხეთი — პოლონეთი

## თურქეთმა კუშტოვიჩის გემო გაიგო

C ჯგუფი

**ბოსნია 3:2 თურქეთი**

0:1 შუქური (13), 1:1 მუსლიმოვიჩი (27), 1:2 საბრი (39), 2:2 ძეკო (45), 3:2 კუშტოვიჩი (90)

**ბოსნია:** გუსო, ბაიჩი, მუსიჩი, რადელიჩი, დამიანოვიჩი, პრგოვიჩი, მალეტიჩი (კუშტოვიჩი 82), მისიმოვიჩი, რახიმიჩი, ძეკო (ზება 61), მუსლიმოვიჩი (პანძა 90)

**მწვრთნელი:** ფუად მუზუროვიჩი

**თურქეთი:** რუშთუ, ჰამიტ ალტინტოპი, სერვეტი, გოხანი, მეჰმეთი, კარადენიზი (ჩიმშირი 46), საბრი (უმით ქარანი 77), თურანი (ბაშთურქი 62), იბრაჰიმი, თუნჯაი, შუქური

**მწვრთნელი:** ფათიჰ თერიმი

**გაფრთხილება:** მეჰმეთი, მალეტიჩი, დამიანოვიჩი, ბაშთურქი

**მსაჯი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

20 000 მაყურებელი

**თურქეთმა** პირველი მარცხი სარაევოში იგემა. ადნან კუშტოვიჩის ბოლო წუთზე გატანილი გოლით ბოსნიელებმა არა მარტო ლიდერს სძლიეს, არამედ ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნეს. შეცვლაზე შესული კუშტოვიჩისთვის კი ეს იყო მეორე სანაკრებო ფეხბედნიერი მატჩი.

„ბოსფორის ბულამ", უბერებელმა ჰაქან შუქურმა, თავური დარტყმით ცხრიანში შეაგდო ბურთი და სტუმრები დააწინაურა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მუსლიმოვიჩ-მისიმოვიჩის კომბინაცია დასრულდა გოლით.

შესვენებამდე ექვსი წუთით ადრე საბრი სარიოღლუმ ცაციით შორ კუთხეში ჩაუსვა ბურთი მეკარე ადნან გუსოს, მაგრამ მასპინძლებმა ისევ ჟინიანად იბრძოლეს და გაათანაბრეს — ედინ ძეკომ საჯარიმოს ხაზიდან გაუტანა რუშთუს.

მეორე ტაიმში ბოსნიელთა მეკარემ არაერთხელ იხტუნა და საქმე იქით მიდიოდა, რომ მეტოქეებს ქულები უნდა გაეყოთ, მაგრამ ადნან კუშტოვიჩმა მარჯვნიდან ჩაწოდებული ბურთი რუშთუს კარის ბადეში ააფართხალა.

**ნორვეგია 4:0 მალტა**

1:0, 2:0 ჰესტადი (31, 73), 3:0 ივერსენი (79), 4:0 ი. რიისე (90)

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდრესენი, ჰესტადი (ბრაატენი 82), პედერსენი (ბრენე 62), ბ. რიისე, სტორბაეკი, ი. რიისე, კარეუ (ჰელსტადი 72), ივერსენი

**მწვრთნელი:** აგე ჰარეიდე

**მალტა:** მუსკატი, აზოპარდი, საიდი, შიკლუნა, ველმანი, აგიუსი, მალია, პაჩე, სამუტი (ვუდსი 46), მიფსუდი (ბარბარა 83), შემბრი (ბოგდანოვიჩი 69)

**მწვრთნელი:** დუშან ფიტცელი

**გაფრთხილება:** მალია

**მსაჯი:** იაცეკ გრანატი (პოლონეთი)

16 364 მაყურებელი

**ნორვეგიამ** ბოლო სამ შესარჩევ მატჩში მხოლოდ ქულა აიღო და გამარჯვებამოწყურებულ გუნდს სუსტი მალტა შემოელახა.

ნახევარი საათი გაუძლეს სტუმრებმა, მერე კი გაუშვეს. ჰესტადმა თავურით გახსნა ანგარიში და მასპინძლებმა შესვენებამდე ერთი იკმარეს.

მეორე ნახევარშიც ცალკარა გაგრძელდა, რასაც სამი გოლი მოჰყვა. ჰესტადმა და ივერსენმა ექვსწუთიან მონაკვეთში თითო-თითო შეაგდეს, ხოლო მატჩის მიწურულს იონ არნე რიისემ გაათხა.

**საბერძნეთი 2:0 უნგრეთი**

1:0 გეკასი (16), 2:0 სეიტარიდისი (29)

**საბერძნეთი:** ხალკიასი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, ანატოლაკისი (პაპადოპულოსი 52), ბასინასი, კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი (ლიბეროპულოსი 87), ხარისტეასი (იანაკოპულოსი 79), გეკასი

**მწვრთნელი:** ოტო რეჰაგელი

**უნგრეთი:** ვეგი, ბალაჟიჩი, ბალოგი, ბოდორი (ვანჩაკი 40), იუჰასი, ტოტი, ტოშერი, ვადოჩი (ფელესი 73), გერა, ჰაინალი, პრისკინი (ჟუთაკი 79)

**მწვრთნელი:** პეტერ ვარჰიდი

**გაფრთხილება:** ბასინასი, ბოდორი

**მსაჯი:** კლაუს-ბო ლარსენი (დანია)

16 000 მაყურებელი

**ევროპის** ჩემპიონებმა პირველივე ტაიმში მოაგვარეს საქმე და ცხრილის თავში მოექცნენ.

უნგრელ ზოლტან გერას ანგარიშის გახსნა თამაშის დასაწყისშივე შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა კონსტანტინოს ხალკიასს ვერ აჯობა. ბუნდესლიგის მთავარმეგოლე თეოფანის გეკასმა კი თავისი შანსი გამოიყენა და მარჯვენა კუთხეში გაიტანა. ამის მერე იურკას სეიტარიდისმა იყოჩაღა, მცველს გასცდა, საჯარიმოში შევიდა და უძლიერესი დარტყმით სხვაობა გაზარდა.

**მაჭა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 10:4 | 15 |
| თურქეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| ბოსნია | 6 | 3 | 1 | 2 | 13:13 | 10 |
| ნორვეგია | 6 | 3 | 1 | 2 | 13:5 | 10 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 7:10 | 6 |
| მალტა | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 3:13 | 2 |

6 ივნისი: ნორვეგია — უნგრეთი; ბოსნია — მალტა; საბერძნეთი — მოლდოვა



ასე გაიხარა ბოსნიამ

AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



AFP

# გიგზის გზის დასასრული

D ჯგუფი

**უელსი 0:0 ჩეხეთი**

**უელსი:** ჰენესი, ნიატანგა, გაბიდონი, კოლინზი, რიკეტსი, ს. დევისი, კუმასი, ლედლი, გიგზი (ერნშოუ 89), კ. რობინსონი, ბელამი
**მწვრთნელი:** ჯონ ტოშაკი
**ჩეხეთი:** ჩეხი, უიფალუში, როზენალი, რ. კოვაჩი, იანკულოვსკი, პლასილი, პოლაკი (იაროლიმი 65), შივოკი (მატეიოვსკი 83), როსიცკი, კოლერი, ბაროში (კულიჩი 46)
**მწვრთნელი:** კარელ ბრიუკნერი
**მსაჯი:** პოლ ალერტსი (ბელგია)
30 714 მაყურებელი

**რაიან გიგზმა** 64-ე, ბოლო მატჩი ითამაშა ეროვნულ გუნდში და ნაკრებს დაემშვიდობა. მეორე ტაიმში მანჩესტერელს ჰქონდა კარგი მომენტი, როცა პეტრ ჩეხთან პირისპირ გავიდა, მაგრამ „ჩელსის“ მეკარემ ძლიერად დარტყმული აუღო.

შესვენებამდე ჩეხები უფრო კარგად თამაშობდნენ, მაგრამ ბევრი ვერაფერი შექმნეს, მეორე ნახევარი კი მასპინძლებისა იყო და მათაც გიგზის მომენტზე უკეთესი არ ჰქონიათ.

თამაშის ბოლოს სტუმარ მარეკ კულიჩს შეეძლო გატანა, თუმც ახლოდან თავურით ააცილა.

**გერმანია 6:0 სან მარინო**

1:0 კურანი (45), 2:0 იანსენი (52), 3:0 ფრინგსი (56პ), 4:0, 5:0 გომესი (63, 65), 6:0 ფრიცი (67)
**გერმანია:** ლემანი, ლამი (შელმესი 70), მერტესაკერი, მეცელდერი, იანსენი, შნაიდერი, ჰილბერტი (ფრიცი 59), ფრინგსი, ჰიცლშპერგერი, კლოზე, კურანი (გომესი 59)
**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი
**სან მარინო:** ა. სიმონჩინი, ალბანი, ბაჩოკი, დელა ვალე, დ. სიმონჩინი, ვალენტინი, ვანუჩი, ბული (ვიტაიოლი 85), გასპერონი, ნეგრი (ბონინი 69), მარანი (დომენიკონი 76)
**მწვრთნელი:** ჯამპაოლო მაცა
**გაფრთხილება:** დ. სიმონჩინი, დ. სიმონჩინი
**გაძევება:** დ. სიმონჩინი (55)
**მსაჯი:** იუნი ჰიიტია (ფინეთი)
43 967 მაყურებელი

**თითქმის** ერთი ტაიმი გაუძლეს სტუმრებმა გერმანელთა იერიშებს და შესვენებამდე წუთით ადრე კევინ კურანიმ თავით რომ გაიტანა, ცხადი გახდა, რომ ეს ბოლო გოლი არ იქნებოდა. მეორე ნახევრის დასაწყისში მარსელ იანსენმა მეორე შეაგდო და აქედან ორ წუთში დავიდე სიმონჩინი გააძევეს, სტუმართა კარში პენალტი დანიშნეს. სან მარინოს კაცის მოკლება უნდოდა? პენალტი ფრინგსმა გამოიყენა, ხოლო მარიო გომესმა დუბლი შეასრულა ორ წუთში. გომესის მერე ფრიცმაც გაიხარა და მასპინძლებმა ჩაგვრა შეწყვიტეს...

**მაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 27:3 | 16 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:4 | 14 |
| ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| სლოვაკეთი | 6 | 3 | 0 | 6 | 15:11 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:16 | 4 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:37 | 0 |

6 ივნისი: გერმანია — სლოვაკეთი

# სკანდინავიური სკანდალი

## დანიელმა ფეხბურთელმა შვედი გალახა, დანიელმა ვაიგულშემატკივარმა კი მსაჯი

F ჯგუფი

**დანია — შვედეთი**

0:1 ელმანდერი (7), 0:2 ჰანსონი (23), 0:3 ელმანდერი (26), 1:3 აგერი (34), 2:3 ტომასონი (62), 3:3 ანდრეასენი (75)

*მატჩი შეწყდა 89-ე წუთზე, მოგვიანებით კი დანიას ჩაეთვალა ტექნიკური 0:3*

**დანია:** სორენსენი, გრავგაარდი, აგერი, ლ. იაკობსენი, პოულსენი, კრისტიანსენი (ანდრეასენი 35), დ. იენსენი, კალენბერგი (ბენდტნერი 47), რომედალი, იორგენსენი, ტომასონი
**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი
**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი, მელბერგი, ჰანსონი, ალექსანდერსონი, ვილჰელმსონი, ლინდეროტი, ა. სვენსონი, ლიუნგბერგი, ოლბოკი (ბაკირჩოღლუ 80), ელმანდერი (როზენბერგი 74)
**მწვრთნელი:** ლარს ლაგერბეკი
**გაფრთხილება:** ელმანდერი, ალექსანდერსონი, ანდრეასენი, ლინდეროტი
**გაძევება:** პოულსენი (89)
**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
42 000 მაყურებელი

**დიდი** სკანდინავიური ომი იყო კოპენჰაგენში. გოლები მრავლად გავიდა, თამაშიც კარგი გამოვიდა და მუშტი-კრივიც ვნახეთ.

კრისტიან პოულსენმა მოკრივის დარტყმით შვედ ფეხბურთელს კინაღამ ბოლო მოუღო, ხოლო მატჩის მსაჯის, ჰერბერტ ფანდელის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მავანმა დანიელმა ფანმა სტადიონზე შევარდნა და არბიტრისთვის სახეში გალაწუნებაც მოახერხა.

პირველ ტაიმში შვედებმა დამხვდურებს ჯოჯოხეთი მოუწყვეს და სამი გოლი გაუტანეს — შესვენებამდე დანიამ ელმანდერის (ორჯერ) და ჰანსონის გოლებს მხოლოდ აგერის იღბლიანი დარტყმით უპასუხა. მეორე ტაიმი კი დანიისა გახლდათ — თავი ტომასონმა და ანდრეასენმა გამოიჩინეს.

89-ე წუთზე პოულსენმა თავის საჯარიმოში მეტოქის მობურთალი მიანოკაუტა და მსაჯისგან წითელი ბარათი დაიმსახურა. ფანდელმა პენალტიც დანიშნა, მაგრამ ვინ აცალა შვედებს — ეგზალტირებული ვაიგულშემატკივარი არბიტრს მიეჭრა და კარგა გვარიანად უთავაზა სახეში.

საქმეში დანიელი ფეხბურთელები ჩაერივნენ და გერმანელი გადაარჩინეს.

თამაში შეწყდა და დანიის ნაკრებს 0:3 წაგება ჩაეთვალა. ბითურმა ფანმა ტომასონსა და კომპანიას გმირული მეორე ტაიმი წყალში ჩაუყარა...

მოგვიანებით გავრცელებული ცნობით, დანიის პოლიციამ დამნაშავე ქომაგი გაათავისუფლა. მავანი, სახელად დეინი, დანიური პრესის ცნობით, შვედეთში ცხოვრობს, თუმცა მისი ეროვნება და გვარი არ ხმაურდება...

**ისლანდია 1:1 ლიხტენშტაინი**

1:0 ბ. გუნარსონი (27), 1:1 რორერი (69)
**ისლანდია:** არასონი, გ. გუნარსონი, ინგიმარსონი, კ. სიგურდსონი, სტეინსონი, გისლასონი, გუდმუნდსონი (საევარსონი 70), ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (ბიარნასონი 82), გუდიონსენი, ვ. გუნარსონი (ჰ. სიგურდსონი 72)
**მწვრთნელი:** ეიოლფურ სვერისონი



AFP

**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, რიცბერგერი, მარტინ შტოკლასა, მიხაელ შტოკლასა, ბაჩელი, ბურგმაიერი (დ. ფრიკი 78), პოლვერინო (კიბერი 85), თ. ბეკი (რ. ბეკი 87), მ. ფრიკი, რორერი
**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ცაუგი
**გაფრთხილება:** რიცბერგერი, გუდიონსენი, ჰალფრედსონი
**მსაჯი:** სტენ კალდმა (ესტონეთი)
5 139 მაყურებელი

**დაჩაჩანაკებულმა** ისლანდიამ ვერც შინ ივაჟკაცა და ლიხტენშტაინს უფლება მისცა, „ლაუგარდალვალიურის“ სტადიონიდან ქულა წაეღო. ახლა ისლანდიას ოთხი ქულა აქვს და ბოლოდან მეორეა.

ისლანდიელთაგან გოლი 28-ე წუთზე გუნარსონმა გაიტანა თავურით. მასპინძლებს დიდი უპირატესობა არ ჰქონიათ, ის კი არა, მათმა მეკარემ რამდენჯერმე იყოჩაღა... 69-ე წუთზე კი რორერმა ანგარიში გაათანაბრა და ამით დამთავრდა ყველაფერი.

**ლატვია 0:2 ესპანეთი**

0:1 ვილია (45), 0:2 ხავი (60)
**ლატვია:** კოლინკო, ზაკრეშევსკისი, ივანოვსი, კლავა, ზირნისი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (პერეპლეტკინი 85), ლაიზანსი, რუბინსი (სოლონიცინსი 65), კარლსონსი (კაუნა 89), ვერპაკოვსკისი
**მწვრთნელი:** ალექსანდრს სტარკოვსი
**ესპანეთი:** კასილიასი, ს. რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილა, ინიესტა, ალბელდა (ხაბი ალონსო 66), ხავი, ანგულო (ხოაკინი 46), ლუის გარსია (სოლდადო 55), ვილია
**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი
**გაფრთხილება:** კლავა, კოლინკო, მარჩენა, ხავი
**მსაჯი:** კრეიგ ტომსონი (შოტლანდია)
10 000 მაყურებელი

**ესპანეთმა** მორიგი გამარჯვება იზეიმა. ჩრდილოეთ ირლანდიასთან და შვედეთთან უსახური წაგებების შემდეგ „ფურია როხა“ გამოცოცხლდა და ახლა პირინეებზე ცოტალა თუ ფიქრობს, ევრო 2008-ზე ვერ მოხვდებითო. ლუის არაგონესის შეგირდებმა ჯერ დანიას მოუგეს, შემდეგ ისლანდიას და შაბათს სკანდინავიურ გუნდებს ბალტიური ლატვიაც მიაყოლეს.

ესპანიოლელ ლუის გარსიას ცოტა დააკლდა, ნაკრებში დებიუტის პირველივე წუთზე გოლით აღსანიშნად. გარსიამ ბურთი დავიდ ვილიასგან მიიღო, თუმცა მისი გასროლა მეკარემ განაღმა.

პირველ ტაიმში სტუმრებს 8-9 საგოლე მომენტი ჰქონდათ, ოღონდ ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. ესპანელთა ნაცვლად დამხვდურთა მცველი ზაკრეშევსკისი „გაისარჯა“ — შესვენებამდე წამებით ადრე საკუთარ კარში შეაგდო გოლი...

ვილიას, ანგულოს, ლუის გარსიასა და ხავის მშვენიერი საგოლე ეპიზოდები ჰქონდათ, ოღონდ ზაკრეშევსკისისგან განსხვავებით, კოლინკოს კარი ვერ დალაშქრეს.

მეორე ტაიმში ანგულოს ნაცვლად ხოაკინი გამოჩნდა და ესპანელთა მარჯვენა ფლანგიც გააძლიერა. „ვალენსიას“ ფეხბურთელმა თანაკლუბელი ვილია ორჯერ მშვენიერი პასით მოამარაგა, თუმცა „ლამურათა“ ფორვარდმა ამის გამოყენება ვერ შეძლო.

თითქოს სამხრეთელებს მასპინძლები მალე უნდა დაესამარებინათ, მაგრამ ესპანელები დაცვაში მოეშვნენ და ლატვიას მცირედი წინაამდეგობის შესაძლებლობაც მისცეს. ბალტიელთა ერთ-ერთი კონტრშეტევისას მადრიდული „ხეტაფეს“ ფეხბურთელი მარის ვერპაკოვსკისი იკერ კასილიასთან პირისპირ დარჩა, მაგრამ გატანა ვერ შეძლო — კარს გადააცილა ბურთი.

კასტილიელებმა სიმშვიდის მომტანი გოლი მე-60 წუთზე შეაგდეს: ხავიმ ნაკრების მეორე დებიუტანტის, სოლდადოს პასი მიიღო და ინიესტას ზურგზე ასხლეტილი ბურთი კარში შევარდა...

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| ესპანეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 11:6 | 12 |
| დანია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ისლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:16 | 4 |
| ლატვია | 5 | 1 | 0 | 4 | 4:5 | 3 |

6 ივნისი: შვედეთი — ისლანდია; ლიხტენშტაინი — ესპანეთი; ლატვია — დანია

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



## ტალის პასები

**E ჯგუფი**

**რუსეთი 4:0 ანდორა**

1:0, 2:0, 3:0 კერჟაკოვი (8, 16, 49), 4:0 სიჩოვი (71)
**რუსეთი:** მალაფეევი, ა. ბერეზუცკი (ანიუკოვი 46), ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ბისტროვი, სემშოვი, ტორბინსკი, ჟირკოვი (ბუდიანსკი 57), ზირიანოვი, არშავინი, კერჟაკოვი (სიჩოვი 54)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
**ანდორა:** ჯ. ალვარესი, და კუნია (ხ. სანჩესი 57), ჩემა გარსია, ხ. აიალა, ბერნაუსი, ესკურა, მ. ხიმენესი (ანდორა 73), ხუსტო, პუხოლი, ვიეირა, ს. მორენო (სომოსა 88)
მწვრთნელი: დავიდ როდრიგო
გაფრთხილება: პუხოლი, ხიმენესი
მსაჯი: ტომი სკიერვენი (ნორვეგია)
21 000 მაყურებელი

**მაკედონია 1:2 ისრაელი**

0:1 იცხაკი (11), 1:1 სტოიკოვი (13), 1:2 კოლაუტი (44)
**მაკედონია:** ნიკოლოვსკი, ლაზარევსკი (გროჟდანოვსკი 46), მიტრესკი, ნოვესკი, რ. პეტროვი, ვასოსკი, შუმოლიკოსკი, ტასევსკი, ნაუმოსკი (რისტიჩი 46), პანდევი (პოლოჟანი 55), სტოიკოვი
მწვრთნელი: სრეჩკო კატანეცი
**ისრაელი:** ავატი, ბენადო, კეინანი, სპუნგინი, ზივი, ალბერმანი, ბადირი, ტალი, ბალილი (საპარი 61), კოლაუტი (გოლანი 81), იცხაკი (ზანდბერგი 76)
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
გაფრთხილება: კეინანი, სპუნგინი, იცხაკი, ზივი, ალბერმანი
მსაჯი: კნუტ კირხერი (გერმანია)
15 000 მაყურებელი

**სანაკრებო** დებიუტი იღბლიანი გამოდგა ბარაკ იცხაკისთვის, რომელმაც თამაშის დასაწყისშივე გახსნა ანგარიში — იდან ტალის პასს საგოლე თავური დაუხვედრა და ისრაელი დააწინაურა. სტუმართა სიხარულმა ორ წუთს გასტანა, რადგან გორან პანდევის მიერ შესრულებულ საჯარიმოს აკო სტოიკოვის გოლი მოჰყვა. ტაიმის მიწურულს იდან ტალმა მეორე საგოლე პასი მიითვალა, ამჯერად მისი გარჯა რობერტო კოლაუტიმ დააფასა. ამის მერე ისრაელი დაცვაში ჩადგა და მეკარე დუდუ ავატს საქმე არ მოჰკლებია. ერთ ეპიზოდში ვლატკო გროჟდანოვსკის დარტყმული ავატმა ვერ მოიგერია, მაგრამ იოავ ზივმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი.

**ესტონეთი 0:1 ხორვატია**

0:1 და სილვა (32)
**ესტონეთი:** პოომი, იააგერი, კრუგლოვი, პიიროია, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერე (კინკი 78), ვასილიევი, კონსა (ნეემელო 71), ვოსკობოინიკოვი
მწვრთნელი: იელე გუსი
**ხორვატია:** პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმუნიჩი, ბაბიჩი, და სილვა (ბალაბანი 84), ნ. კოვაჩი, კრანჩარი (ლეკო 74), მოდრიჩი, სრნა, პეტრიჩი (ოლიჩი 54)
მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი
გაფრთხილება: პიიროია, შიმუნიჩი, დმიტრიევი, პოომი, კლავანი
მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
10 000 მაყურებელი

**გახორვატებულმა** ბრაზილიელმა ფორვარდმა ედუარდო და სილვამ საჯარიმოს ხაზიდან ცაციით გაუტანა ესტონელებს, რომლებმაც მეხუთე თამაში წააგეს და მეტოქეების კარში ჯერ ბურთი არ შეუგდიათ. მწირმომენტიან მატჩში მასპინძლები ბოლოსლა გამოცოცხლდნენ და 81-ე წუთზე რაგნარ კლავანის თავური პლეტიკოშამ მოიგერია. ცოტა ხნის შემდეგ ვასილიევმა სცადა შორიდან გატანა და კვლავ ხორვატმა მეკარემ აუღო.

ესტონეთი კვლავაც რჩება ერთადერთ გუნდად შესარჩევ ციკლში, რომელსაც ქულა არ აუღია და გოლი არ გაუტანია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 16 |
| რუსეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 11:1 | 14 |
| ისრაელი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:7 | 14 |
| ინგლისი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:2 | 11 |
| მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | 7 |
| ესტონეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:11 | 0 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 1:26 | 0 |

6 ივნისი: ანდორა — ისრაელი; ხორვატია — რუსეთი; ესტონეთი — ინგლისი

## ჰოლანდია ჩამოაგდეს

**G ჯგუფი**

**ბელარუსი 0:2 ბულგარეთი**

0:1, 0:2 ბერბატოვი (28, 46)
**ბელარუსი:** ჟევნოვი, ომელიანჩუკი (სტრახანოვიჩი 71), შტანიუკი, ტიგორევი, ა. გლები, კალაჩევი, კორიტკო, კოვბა, კულჩი, კორნილენკო (ვასილიუკი 59), კუტუზოვი (ვ. გლები 46)
მწვრთნელი: იური პუნტუსი
**ბულგარეთი:** ივანკოვი, ს. ანგელოვი (დომოვჩისკი 90), ტომაშიჩი, ტუნჩევი, ვაგნერი, კიშიშევი, ს. პეტროვი, ტელკისკი, იოვოვი (მანჩევი 79), მ. პეტროვი (გენკოვი 90), ბერბატოვი
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
გაფრთხილება: ომელიანჩუკი, კულჩი
მსაჯი: იაროსლავ იარა (ჩეხეთი)
29 000 მაყურებელი

**ტოტენჰემელ** დიმიტარ ბერბატოვს პრემიერლიგაში კარგი სეზონი ჰქონდა და ნაკრებშიც ბრწყინავს. 19 წუთი ეყო ბულგარელ ფორვარდს ორი გოლის გასატანად და ბელარუსის დასამარცხებლად. მას მესამე წუთზეც შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა იური ჟევნოვს ვერ აჯობა. ბერბატოვმა შეცდომა მოგვიანებით გამოასწორა, როცა სამ მცველს გაექცა და მოჭრილი დარტყმით შორ კუთხეში შეაბზრიალა ბურთი. შესვენების შემდეგ კი მანვე 14 მეტრიდან შეაგდო მეორე გოლი და ჯერაც დაუმარცხებელ ბულგარეთს მესამე გამარჯვება მოაპოვებინა.

**ალბანეთი 2:0 ლუქსემბურგი**

1:0 კაპლანი (38), 2:0 ჰაჯი (57)
**ალბანეთი:** ბექაი, დალკუ, დედე, ჰაჯი (ვანგელი 74), ვრაპი, ჩანა, დური, შკელა, ბერიშა (მუკა 46), ბუში (სალიჰი 76), კაპლანი
მწვრთნელი: ოტო ბარიჩი
**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, ბიგარი (და მოტა 73), ჰოფმანი, შტრასერი, ბეტმერი, კრიცოგერი, მუტში, პაიალი (ჯ. ფერერა 82), პეტერსი, რემი, კოლეტი
მწვრთნელი: გი ელერსი
გაფრთხილება: ჰოფმანი
მსაჯი: ლაშა სილაგავა (საქართველო)
8 000 მაყურებელი

**ოტო ბარიჩის** ალბანეთმა პირველი გამარჯვება მოიპოვა და ცხრილში ერთი საფეხურით დაწინაურდა.

მასპინძლებმა თავიდანვე გაშმაგებით შეუტიეს მაჩანჩალა ლუქსემბურგს, მაგრამ ტაიმის მიწურულსლა შეძლეს ანგარიშის გახსნა — გერმანული „კარლსრუეს“ ფორვარდმა ედმონდ კაპლანიმ ჟონატან ჟუბერს ახლოდან გაუტანა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი ალთინ ჰაჯიმ სხვაობა ორამდე გაზარდა.

ეს გუნდები ოთხშაბათს ლუქსემბურგში შეხვდებიან.



ალბან ბუშის ალბანეთს ლუქსემბურგის ძლევა არ გასჭირვებია

**სლოვენია 1:2 რუმინეთი**

0:1 ტამაში (52), 0:2 ნიკოლიტა (69), 1:2 ვრსიჩი (90)
**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, სეზარი, ილიჩი, ჯოკიჩი, მავრიჩი, ჩეჰი, კომაცი, კორენი (ბირსა 53), შუკალო (ვრსიჩი 83), ლავრიჩი, რაკოვიჩი (ნოვაკოვიჩი 61)
მწვრთნელი: მატიაჟ კეკი
**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, ტამაში, კოჯუ, რაცი, კოდრია, ნიკოლიტა, როსუ (ზიკუ 63), დ. სტოიკა (მურეშანი 77), მარიკა (დ. ნიკულაე 74), მუტუ
მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა
გაფრთხილება: შუკალო, მავრიჩი, სეზარი, მუტუ, რაკოვიჩი, კორენი, ნიკოლიტა
გაძევება: სეზარი (80), ნიკულაე (80)
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
6 000 მაყურებელი

**რუმინეთმა** მძიმე მატჩში სძლია სლოვენიას, ჰოლანდიას ქულებით გაუტოლდა და ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

სტუმართაგან გამოირჩეოდა ადრიან მუტუ, რომელიც შესვენებამდე ყველაზე ხშირად აწუხებდა მასპინძელთა მეკარეს, თუმც გოლი ვერ გაიტანა.

სამაგიეროდ, მეორე ტაიმში იყოჩაღა გაბრიელ ტამაშმა, რომელმაც საჯარიმოს გარედან უძლიერესად დაჰკრა და სამირ ჰანდაროვიჩი უშანსოდ დატოვა.

სლოვენიამ გასათანაბრებლად გაიწია, მაგრამ მალე მეორე გოლი გაუშვა — ნიკოლიტას ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

მე-80 წუთზე უხეშობისთვის მსაჯმა გუნდებს თითო-თითო კაცი გაუძევა, შეცვლაზე შესულმა ვრსიჩმა კი ბოლოს ერთი ბურთი გაქვითა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:4 | 14 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| ბულგარეთი | 6 | 3 | 3 | 0 | 9:3 | 12 |
| ბელარუსი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:13 | 7 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | 6 |
| სლოვენია | 6 | 1 | 1 | 4 | 5:10 | 4 |
| ლუქსემბურგი | 6 | 0 | 0 | 6 | 1:11 | 0 |

6 ივნისი: ბულგარეთი — ბელარუსი; ლუქსემბურგი — ალბანეთი; რუმინეთი — სლოვენია



ორგოლა დიმიტარ ბერბატოვი

## ტრაგედია ზამბიაში

**12 ადამიანი** დაიღუპა ზამბიაში, ამ ქვეყნისა და კონგოს ნაკრების მატჩის შემდეგ. მასპინძლებმა 3:0 მოიგეს და ქომაგები სტადიონიდან გასვლას ჩქარობდნენ, რასაც ჭყლეტვა და მსხვერპლი მოჰყვა. თორმეტიდან ცხრა გარდაცვლილი კაცია, სამი კი — ქალი. პოლიციის განცხადებით, ტრაგედია იმან გამოიწვია, რომ სტადიონის მხოლოდ რამდენიმე კარი გაიხსნა და ხალხი გასასვლელში ვერ გაეტია.

## კოლუმბია ფიფას ემუქრება

**ფიფას** ბრძანების გამო, რომელიც 2 500 მეტრზე მაღლა თამაშს კრძალავს, კოლუმბია მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ბოიკოტირებას აპირებს. ქვეყნის სპორტის მინისტრ ევერტ ბუსტამანტეს განცხადებით, მათ მხარს უჭერენ პერუ და ეკვადორიც.

„ჩვენ ვისაუბრეთ ბოიკოტის შესაძლებლობაზე და ესაა პროტესტის უკიდურესი ზომა, რომელსაც მივმართავთ, თუ ფიფა უკან არ დაიხევს“ — აღნიშნა ბუსტამანტემ.

კოლუმბიელები გაეროში ჩივილსაც არ მოერიდებიან.

## ჯილის ჯილა: ერიკსონი!

**ტურინის** „იუვენტუსს“ ახალი მწვრთნელი რომ ეყოლება, ფაქტია, მაგრამ ვინ იქნება იგი? ბოლოს გავრცელებული ცნობით, „იუვეს“ თავკაცობას კლაუდიო რანიერის უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ წუხელ „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ „კალჩომერკატოს“ მოკლედ მოუჭრა: „საიდან მოგაქვთ ასეთი ჭორები? რანიერიზე საერთოდ არ გვიფიქრია, ჩვენ სხვა კანდიდატი გვყავს შეგულებული და გაცილებით სახელიანი. ის უკვე ტურინშია“.

და ვინ არის ის ინკოგნიტო? არც მეტი, არც ნაკლები, სვენ-გორან ერიკსონი!

## კინმა სქოულზი გაიხსენა

**პრემიერლიგაში** აღზევებული „სანდერლენდის“ მწვრთნელმა, ყოფილმა მანჩესტერელმა როი კინმა „მანჩესტერს“ პოლ სქოულზში 2 მილიონი გირვანქა შესთავაზა. სერ ალექს ფერგიუსონს ნახევარდაცვის ცენტრში უკვე ჰყავს მაიკლ კარიკი, ოუენ ჰარგრივსი და ანდერსონი. ამდენად, 32 წლის სქოულზის ადგილი გუნდში აღარ რჩება და კინსაც ამიტომ ჩაუფიქრებია მისი გადაბირება.

„სანდერლენდის“ თავკაცს „ნიუკასლიდან“ ნიკი ბათის ყიდვაც უნდა.

## ლამპარდი გამოტოვეს

**ფრენკ ლამპარდი** არ შეიყვანეს იმ ფეხბურთელებში, რომლებიც „ჩელსის“ ახალ ფორმას წარადგენენ მომავალი სეზონისთვის. ამ ფორმით ლონდონური კლუბი გასვლით მატჩებს ითამაშებს. ტერი და ლამპარდი ყოველთვის მთავარი ფიგურები იყვნენ „ჩელსის“ მარკეტინგულ ამბებში, მაგრამ ამჯერად ნუსხაში ლამპარდის გვარი არ მოხვდა. ფორმაში კი გამოეწყობიან მიხაელ ბალაკი, პეტრ ჩეხი, დიდიე დროგბა, ჯო კოული, არიენ რობენი და ჯონ ტერი.

ლამპარდის არშეყვანა ეგებ იმასაც ნიშნავდეს, რომ მის გაყიდვას აპირებენ, რადგან კონტრაქტზე ვერ რიგდებიან. რაც შეხება ახალ ფორმას, ყვითელი იქნება და პრეზენტაცია 14 ივნისს შედგება. ახალი სამოსით „ჩელსი“ პირველ მატჩს 17 ივლისს ლოს ანჯელესში „სამსუნგ ბლუიუნგზთან“ ითამაშებს.

## ფონსეკა ტრეზეგეს აგვარებს

**„მარკას“** ცნობით, შესაძლოა, დავიდ ტრეზეგე „ვალენსიაში“ გადავიდეს. „იუვეს“ ყოფილი ფეხბურთელი, ახლა კი ფიფას აგენტი დანიელ ფონსეკა, რომელიც ტრეზეგეს მეგობარიცაა და „ვალენსიას“ სპორტულ დირექტორ ამადეო კარბონისთანაც ძმაკაცობს, ამას წინათ ესპანეთში იყო. გაზეთი ამტკიცებს, რომ იგი ტრეზეგეს ტრანსფერზე ესაუბრა კარბონის.

## ბეშიქთაში სალლამით

**„ბეშიქთაშის“** მწვრთნელად ამ კლუბის ყოფილი ფორვარდი და თურქეთის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ერთულრულ სალლამი დანიშნეს. მან ჟან ტიგანა შეცვალა და ორწელიწადნახევარიანი კონტრაქტი გააფორმა. 37 წლის სალლამი მანამდე „ქაისერის“ თავკაცობდა. ფეხბურთელობისას იგი „ბეშიქთაშმა“ „სამსუნისგან“ იყიდა. ეს ტრანსფერი უძვირესი იყო თურქული ფეხბურთის ისტორიაში.

## უარი მილოშევიჩს

**სერბეთის** ნაკრებისა და ესპანური „ოსასუნას“ თავდამსხმელმა სავო მილოშევიჩმა განაცხადა, რომ კლუბი მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს და აბარგება მოუწევს.

33 წლის მილოშევიჩს „პარტიზანში“, „ასტონ ვილაში“, „სარაგოსაში“, „პარმაში“, „ესპანიოლსა“ და „სელტაში“ უთამაშია. სერბის თქმით, ორი წლის შემდეგ კარიერას დაასრულებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ამხანაგური მატჩები

1 ივნისი

**ინგლისი 1:1 ბრაზილია**

1:0 ტერი (68), 1:1 დიეგო (90)

**ინგლისი:** რობინსონი, კარაგერი, კინგი, ტერი (ბრაუნი 72), შორი, ბექჰემი (ჯენასი 77), ჯერარდი, ლამპარდი (კარიკი 88), ჯ. კოული (დაუნინგი 62), ოუენი (კრაუჩი 83), სმიტი (დაიერი 62)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

**ბრაზილია:** ელტონი, დანი ალვეში (მაიკონი 65), ნალდო, ჟუანი, ჟილბერტო, რონალდინიო, მინეირო (ედმილსონი 63), ჟილბერტო სილვა, კაკა (ალფონსო ალვეში 75), რობინიო (დიეგო 74), ვაგნერ ლავი

მწვრთნელი: კარლოს დუნგა

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)

88 745 მაყურებელი

**იაპონია 2:0 ჩერნოგორია**

1:0 ნაკაზავა (23), 2:0 ტაკაჰარა (38)

**ინდონეზია 3:0 ჰონკონგი**

2 ივნისი

**ვენესუელა 2:2 კანადა**

0:1 როსარიო (5), 1:1 ჩიკერო (22), 2:1 მალდონადო (24), 2:2 გერბა (85)

**ავსტრალია 1:2 ურუგვაი**

1:0 სტერიოვსკი (6), 1:1 ფორლანი (40), 1:2 რეკობა (77)

**სამხრეთ კორეა 0:2 ჰოლანდია**

0:1, 0:2 ვან დერ ვაარტი (32პ, 72)

**ავსტრია 0:0 პარაგვაი**

**შვეიცარია 1:1 არგენტინა**

0:1 ტევესი (50), 1:1 შტრელერი (64)

**მექსიკა 4:0 ირანი**

1:0 ბორხეტი (1), 2:0 ლოზანო (27), 3:0 ფონსეკა (81), 4:0 ტორადო (84)

**აშშ 4:1 ჩინეთი**

1:0 ბისლი (12პ), 1:1 იაკუნი (18), 2:1 ფილჰაბერი (32), 3:1 დემპსი (77), 4:1 ონიევუ (81)

**კოსტა რიკა 2:0 ჩილე**

1:0 ბადილა (28), 2:0 რუისი (58)

3 ივნისი

**კოლუმბია 1:0 ჩერნოგორია**

1:0 ფ. გარსია (33)

**პერუ 2:1 ეკვადორი**

1:0 ფარფანი (5), 1:1 კ. ტენორიო (11), 2:1 დე ლა კრუზი (50ს.კ.)

**ჰონდურასი 3:1 ტრინიდადი**

**მალავი 0:2 გაბონი**

**ინდონეზია 0:1 სინგაპური**

## ესპანეთი

### სეგუნდადივიზიონი XL ტური

კადისი — ელჩე 3:1; ლას პალმასი — სალამანკა 2:2; სპორტინგი — სიუდად მურსია 4:3; ტენერიფე — ვესინდარიო 0:2; ერკულესი — ლორკა 1:1; ნუმანსია — პოლი ეხიდო 3:1; კასტელიონი — პონფერადინა 4:0; ალბასეტე — ხერესი 0:0; ალმერია — მალაგა 2:2; მურსია — რეალი B 2:2; ალავესი — ვალიადოლიდი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალიადოლიდი | 40 | 24 | 10 | 6 | 64:32 | 82 |
| ალმერია | 40 | 23 | 8 | 9 | 69:45 | 77 |
| მურსია | 40 | 21 | 12 | 7 | 60:40 | 75 |
| სიუდად მურსია | 40 | 17 | 9 | 14 | 48:41 | 60 |
| კადისი | 40 | 15 | 14 | 11 | 49:41 | 59 |
| ნუმანსია | 40 | 15 | 12 | 13 | 46:41 | 57 |
| ხერესი | 40 | 16 | 9 | 15 | 44:39 | 57 |
| ალბასეტე | 40 | 15 | 12 | 13 | 46:44 | 57 |
| კასტელიონი | 40 | 15 | 11 | 14 | 48:39 | 56 |
| სალამანკა | 40 | 14 | 12 | 14 | 52:48 | 54 |
| ერკულესი | 40 | 14 | 12 | 14 | 47:46 | 54 |
| ტენერიფე | 40 | 16 | 6 | 18 | 43:50 | 54 |
| სპორტინგი | 40 | 15 | 8 | 17 | 50:48 | 53 |
| პოლი ეხიდო | 40 | 14 | 10 | 16 | 46:49 | 52 |
| ელჩე | 40 | 14 | 10 | 16 | 43:46 | 52 |
| მალაგა | 40 | 13 | 12 | 15 | 47:49 | 51 |
| ლას პალმასი | 40 | 13 | 12 | 15 | 49:53 | 51 |
| ალავესი | 40 | 12 | 13 | 15 | 48:57 | 49 |
| რეალი B | 40 | 12 | 9 | 19 | 49:63 | 45 |
| პონფერადინა | 40 | 9 | 13 | 18 | 39:59 | 40 |
| ლორკა | 40 | 9 | 10 | 21 | 36:57 | 37 |
| ვესინდარიო | 40 | 9 | 6 | 25 | 41:77 | 33 |

## ევროპის 2009 წლის U-21 ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

UNDER21 CHAMPIONSHIP

### I ტური

იტალია — ალბანეთი 4:0; საბერძნეთი — აზერბაიჯანი 4:1; ხორვატია — ფარერები 2:0; სომხეთი — ლიხტენშტაინი 1:0; უკრაინა — თურქეთი 1:2; სერბეთი — ლატვია 1:1; ბელარუსი — უნგრეთი 1:0; მოლდოვა — ჩრდ. ირლანდია 0:1; საფრანგეთი — რუმინეთი 1:1; ესტონეთი — ნორვეგია 0:1

## ბელგია

### გადასასვლელი პლეი ოფი III ტური

**ანტვერპენი 2:1 ლიერსი**

**მეხელენი 3:0 კორტრაიკი**

## დანია

### პირველი დივიზიონი XXVII ტური

ფკ ორჰუსი — ბრაბრანდი 0:1; ჰელერუპი — ტისტედი 3:3; ფრემი — ლიუნგბიუ 0:3; კოლდინგი — კიოგე 2:1; სიონდერისკე — ნესტვედი 2:1; ჰერფიოლგე — ფრედერისია 1:0. ორჰუსი — იოლსტიკე და აკადემისკი — ფრემადი გადაიდო

## ირლანდია

### პრემიერლიგა. XIV ტური

კორკი — დერი 1:1; დროჰედა — ლონგფორდი 1:1; სენტ პატრიკსი — გალვეი 1:2; უოტერფორდი — დუბლინი 1:3; შემროკი — უონდერერსი 1:0; სლიგო — ბოჰემიანსი 2:1

## შვეიცარია

### გადასასვლელი პლეი ოფი საპასუხო მატჩი

**აარაუ 3:1 ბელინცონა (2:1)**

## იტალია

### სერია B. XLI ტური

არეცო — მოდენა 0:0; ბარი — იუვენტუსი 1:0; ბოლონია — კროტონე 2:1; ჩეზენა — ვერონა 0:1; ფროზინონე — ალბინოლეფე 2:0; მანტოვა — ჯენოა 1:0; ნაპოლი — ლეჩე 1:0; პესკარა — ბრეშა 1:3; სპეცია — ტრევიზო 1:2; ტრიესტინა — რიმინი 1:1; ვიჩენცა — პიაჩენცა 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 41 | 28 | 10 | 3 | 81:27 | 85 |
| ნაპოლი | 41 | 21 | 15 | 5 | 52:29 | 78 |
| ჯენოა | 41 | 23 | 8 | 10 | 68:44 | 77 |
| პიაჩენცა | 41 | 20 | 7 | 14 | 56:49 | 67 |
| რიმინი | 41 | 16 | 16 | 9 | 53:37 | 64 |
| მანტოვა | 41 | 15 | 19 | 7 | 46:34 | 64 |
| ბრეშა | 41 | 18 | 10 | 13 | 47:41 | 64 |
| ბოლონია | 41 | 17 | 11 | 13 | 47:41 | 62 |
| ლეჩე | 41 | 16 | 7 | 18 | 52:52 | 55 |
| ალბინოლეფე | 41 | 11 | 20 | 10 | 44:43 | 53 |
| ტრევიზო | 41 | 11 | 17 | 13 | 43:44 | 50 |
| ბარი | 41 | 12 | 14 | 15 | 38:42 | 50 |
| ფროზინონე | 41 | 12 | 14 | 15 | 43:52 | 50 |
| ჩეზენა | 41 | 12 | 13 | 16 | 49:62 | 49 |
| ვიჩენცა | 41 | 11 | 14 | 16 | 41:43 | 47 |
| ტრიესტინა | 41 | 11 | 15 | 15 | 36:47 | 47 |
| მოდენა | 41 | 11 | 13 | 17 | 36:45 | 46 |
| ვერონა | 41 | 11 | 12 | 18 | 30:44 | 45 |
| სპეცია | 41 | 10 | 13 | 18 | 47:59 | 43 |
| არეცო | 41 | 11 | 15 | 15 | 39:45 | 42 |
| კროტონე | 41 | 7 | 11 | 23 | 36:66 | 32 |
| პესკარა | 41 | 5 | 10 | 26 | 35:73 | 24 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*

### სერია C. პლეი ოფი საპასუხო მატჩები

**აველინო 1:0 ტარანტო (0:1)**

**კავეზე 3:1 ფოჯა (2:5)**

**პიზა 3:1 ვენეცია (1:1)**

**სასუოლო 2:4 მონცა (1:0)**

### სერია C. პლეი აუტი საპასუხო მატჩები

**სანჯოვანეზე 0:0 პიციგეტონე (1:1)**

**მარტინა 1:1 სან მარინო (2:0)**

**ტერამო 2:2 ანკონა (0:2)**

**პრო სესტო 1:0 ივრეა (0:0)**

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXXVI ტური

დორტმუნდი (მ) — ლევერკუზენი (მ) 2:0; დინამო — ჰამბურგი (მ) 2:4; დიუსელდორფი — მიონხენგლადბახი (მ) 4:1; მაგდებურგი — ზანკტ პაული 1:1; ოსნაბრიუკი — ალენი 2:1; ერფურტი — კილი 0:1; ლიუბეკი — ვილჰელმშავენი 6:0; ვერდერი (მ) — უნიონი 3:2; ვუპერტალი — ემდენი 2:4

### სამხრეთ რეგიონალლიგა XXXIV ტური

ბაიერნი (მ) — დარმშტადტი 2:0; ელვერსბერგი — კიკერსი 0:2; ჰესენი — მიუნხენი (მ) 3:8; ჰოფენჰაიმი — ვეჰენი 2:1; ინგოლშტადტი — ბურღჰაუზენი 1:1; კაიზერსლაუტერნი (მ) — ზიგენი 0:2; კარლსრუე (მ) — როიტლინგენი 1:1; შტუტგარტი (მ) — ზაარბრიუკენი 2:0; აალენი — პირმაზენსი 5:2

## არგენტინა

### კლაუსურა. XVII ტური

ველესი — ნუევა ჩიკაგო 2:1; კილმესი — როსარიო 0:1; არგ. ხუნიორსი — სან ლორენსო 1:1; არსენალი — ინდეპენდიენტე 0:1; ლანუსი — ბელგრანო 1:1; ხიმნასია (ხ) — ბანფილდი 0:1; ოლდ ბოისი — ხიმნასია (ლ) 0:1; კოლონი — ბოკა ხუნიორსი 2:1. რასინგი — ესტუდიანტესი წუხელ გვიან დამთავრდა, რივერ პლეიტი — გოდოი კრუზი დღეს გაიმართება

## პოლონეთი

### ლიგის თასი. 1/2 ფინალი პირველი მატჩები

ვისლა — ბელხატოვი 0:1. ლეჩნა — გროცლინი დღეს გაიმართება

## აშშ

### MLS. X ტური

ტორონტო — კოლორადო 2:1; ნიუ ინგლენდი — სოლტ ლეიკი 0:0; კანზასი — ნიუ იორკი 3:2; ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი 0:0. ჰიუსტონი — დალასი და ჩიკაგო — კოლუმბუსი წუხელ გვიან დამთავრდა

## ბრაზილია

### სერია A. IV ტური

ატლ. მინეირო — ატლ. პარანენსე 1:1; ბოტაფოგო — გრემიო 3:0; ფიგეირენსე — გოიასი 2:1; ჟუვენტუდე — ამერიკა 3:0; პალმეირასი — კრუზეირო 1:3; სანტოსი — კორინთიანსი 1:1; სპორტ რესიფე — ფლამენგო 2:2. პარანა — სან პაულუ და ვასკუ და გამა — ფლუმინენსე წუხელ გვიან დამთავრდა, ინტერნასიონალი — ნაუტიკო დღეს გაიმართება

## ნორვეგია

### I დივიზიონი. IX ტური

ჰამ კამი — ლოვ ჰამი 1:1; კონგსვინგერი — ბრინი 0:0; მანდალი — სოგნდალი 2:2; ნოტოდენი — სპარტა 1:0; სკეიდი — რაუფოსი 4:1; ტრიომსდალენი — ჰაუგესუნდი 1:0. ჰიონეფოსი — მოსი გადაიდო, ბოდიო გლიმტი — მიოლდე 7 ივნისს გაიმართება

## შვედეთი

### სუპერეტა. VIII ტური

ფალკენბერგი — სირიუსი 1:1; ჰეკენი — იონკოპინგი 2:0; ლანდსკრონა — ნორჩიოპინგი 1:3. ენჩიოპინგი — ლიუნგსკილე, სილვია — დეგერფორსი და იოსტერსი — იორგრიტე დღეს გაიმართება


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჩენია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge